საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 15 ივლისი. 2016 წ. №131 (8023), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მალე აჭარას ახალი მთავრობა ეყოლება

საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დაითხოვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო რწმუნებულისა და მისი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოსცა:

„საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: 1.გადაყენებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. 2.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე განახორციელოს სახელმწიფო რწმუნებულმა და მისმა ადმინისტრაციამ. 3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო რწმუნებულად დაინიშნოს ზურაბ პატარაძე. 4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაინიშნოს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ლევან გორგილაძე, სულიკო თებიძე, რამაზ ბოლქვაძე და იოსებ აბულაძე“, — ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში, რომელსაც მასთან ერთად, ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

ზურაბ პატარაძე: იქნება ცვლილება, ოღონდ არა რადიკალური...

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ზურაბ პატარაძემ, აჭარის რწმუნებულად დანიშვნის შემდეგ, აღნიშნა, რომ ის მისი დანიშვნის შემდეგ აჭარის მთავრობაში ცვლილებებს გეგმავს, თუმცა არა რადიკალურს. **„რა თქმა უნდა, იქნება ცვლილება, ოღონდ რადიკალურ ცვლილებებს არ ვაპირებ. ჯერჯერობით მიმდინარეობს კონსულტაციები. მალე იქნება კენჭისყრა, შესაბამისად, უფრო ვრცლად გავაკეთებ ბრიფინგს. ერთი რამ იცოდეთ, მედიის წარმომადგენლებისთვის ჩემი კარი ყოველთვის ღია იქნება, ნებისმიერ ფორმატში, ჩვენ მზად ვართ, თქვენთან კონტაქტისთვის,“** — განაცხადა ზურაბ პატარაძემ.

შოთა ზოიძე:

თეთრი ყვავები

7

გონიოში ინდუსტრიული ზონა აშენდება

9

რამდენად რეალისტურია 5-მილიარდიანი პროექტის — „შავი ზღვის მარგალიტის“ განხორციელება?

უფრთხილდით, ინკვიზიტორი ბაქრაძე მატყუარა დემაგოგია!

8 ივლისის ჭირის ნაღვლიანი

ცრუპენტელა ნაციონალი დავით ბაქრაძე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში თბილისისკენ დაძრული რუსული ტანკების გამკლავებას დანა-ჩანგლებით გვიქადაგებდა, თავად კი თავის ქვეშაფსია, ჩასვრილ გუნდთან ერთად კუდამოძუებული წითელი ხიდისკენ გარბოდა, ახლა სამშობლოდან სამარცხვინოდ გაქცეული თავლაფდასხმული ამირსპასალარის მიხეილ სააკაშვილის დაფხავებული ჯავშანი მოირგო და ისევ და ისევ ტყუილების კორიანტელი დააყენა, ჩვენ ის ნაციონალები აღარა ვართ, ვინც საქართველოს მიწა-წყალი თითქმის გაანახევრაო, ვინც თითქმისვე ისევ ნახევარი საქართველო ციხეებში გამოამწყვდიაო, ვინც ჩვენს მოქალაქეებს ინკვიზიცია მოუწყო და ვინც ჩვენს ალალ-მართალ ახალგაზრდებს პირდაპირ ქუჩებში ცხრილავდაო. ჩვენ ახლა ჩვენსავე საშინელ შეცდომებზე ჭკუანასწავლი პარტია ვართ, ქინძებად, გირჩებად, წიწვებად დაშლილი და 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულნი გაუგონარ კეთილდღეობას შევქმნით ოცნებაგაცრუებულ, სხვათა ხელის შემყურე საქართველოშიო!

არა და არა! ცრუპენტელა ბაქრაძე, ფიურერ სააკაშვილის უხეირო სუროგატო, შენი ბრტყელ-ბრტყელი ლაქლაქი უკვე თითქმის აღარავის სჯერა, 50-ლარიანი პენსიის მომატებით ტყუილად ფიქრობ ნეოფაშისტური პარტიისგან ათიათასჯერ გაცურებული და თავმოყვარეობაშელახული ამომრჩევლის კიდევ ერთხელ გაცურებას! ღრმად, ძალიან ღრმად ბრძანდებოდე დარწმუნებული, რომ არც ერთი საღად მოაზროვნე და თავისი ქვეყნის ნამდვილად მოყვარული ამომრჩეველი ქართველთმოძულე ნაციონალებს ხმას აღარ მოგცემთ, ძველი კაციჭამიური ცოდვებისთვის ჯერაც სასჯელმოუხდელთ ხელისუფლებაში აღარასოდეს მოგიყვანთ!

თქვენი ამჟამინდელი პოლიტიკური ჭიფხვა და ფახიფუხი ამაო წყლის ნაყვაა! ამას კი ნამდვილად ვერავინ დაგიშლით, ნაყეთ თქვენგანვე ათი წლის განმავლობაში აყროლებული წყალი და 8 ოქტომბერს გასაგრილებლად ნამუსის ძარღვგაწყვეტილ ავად გაცხელებულ შუბლზეც შეისხით! ეს თქვენგან ფაშისტურად გამწარებული მთელი საქართველოს შეუმცდარი პროგნოზია!

სიახლე სატელეკომუნიკაციო სივრცეში

სწრაფი ინტერნეტი საქართველოს ყველა ოჯახისთვის

5

EBRD-მა მაგთიკომს 100 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო

სააპელაციო სასამართლომ „რუსთავი-2“-ის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა!

„რუსთავი-2“-ის დამფუძნებლების ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოდან განჩინება მიიღეს, რომლის მიხედვითაც, იურისტების მოთხოვნა გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორებაზე არ დაკმაყოფილდა.

რა იქნება შემდეგ? — დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენი ხედვა არის ევროპა, ხოლო საქართველოს ევროპაში ყოფნა ჩვენი მოქალაქეების მისიაა!

გუშინ ბათუმში რიგით მე-13 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა: სტაბილურობა, განვითარება, მრავალფეროვნება“ გაიხსნა. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

„საქართველო არის ევროპა“ – ამ გზავნილით დაიწყო სიტყვით გამოსვლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოს ისტორია სამუდამოდ არის დაკავშირებული ევროპასთან.

„რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვები არ კმარა. ჩვენ ეს კარგად გვესმის. სწორედ ამიტომ აქვთ ქართველებს მტკიცედ გადაწყვეტილი ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება და მეტის გაკეთებაც, რათა გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. დამეთანხმებით, ჩვენი წინსვლა შთამბეჭდავია. სიხარულით აღვნიშნავ, რომ საქართველო სტაბილურად მიიწევს წინ ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების განხორციელების გზაზე. ასოცირების ხელშეკრულება არის ჩვენი რეფორმების გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, წარმოების, ტრანსპორტის, მომხმარებელთა დაცვისა და ბევრ სხვა სფეროს. ჩვენ უკვე განვახორციელეთ ჩვენი სამართლებრივი და საარჩევნო სისტემების ფუნდამენტური რეფორმა. ჩვენ შევასრულეთ ვიზების ლიბერალიზაციის ყველა მოთხოვნა, რაც დაადასტურეს კიდეც ევროკომისიამ და ევროპარლამენტმა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ასოცირების ხელშეკრულების ოფიციალურად ძალაში შესვლამდე, 1 ივლისს, ჩვენ შევასრულეთ და დავნერგეთ მისი ბევრი დებულება,“ – აღნიშნა პრემიერმა.

მისი განმარტებით, საქართველო მთელი სერიოზულობით ეკიდება ევროკავშირში გაწევრების საკითხს. პრემიერმა მისასალმებელი უწოდა ევროსაბჭოს მიერ ორი კვირის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, სექტემბრის შუა რიცხვებში სპეციალური შეხვედრის ჩატარებასთან დაკავშირებით, რომელზეც განხილული იქნება ევროინტეგრაციის ხვალინდელი დღე.

„ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, კარგად გააცნობიერონ, რომ საქართველოს მიზანმიმართულება და შემართება ევროპასთან დაკავშირებით არის არა ახალი თავის ტკივილი ევროპისთვის, არამედ ნათელი დემონსტრირება ყველაფრისა, რაც კარგია ევროკავშირში. საქართველოს სურვილი არ არის, თავს მოახვიოს ევროკავშირს ახალი სატკივარი. პირიქით, საქართველო არის სხვაგან გაჩენილი სატკივრის მკურნალი სალბუნი. ჩვენთვის რთული წარმოსადგენია, რომ შეიძლება მოიძებნოს ჩვენი უნიკალური ევროპული ღირებულებების დასაცავად საქართველოს მხრიდან მათი გაზიარების მგზნებარე სურვილზე უკეთესი არგუმენტი. ბატონებო და ქალბატონებო, დღეს ევროკავშირი არ უნდა ჩაიკეტოს თავის თავში, არ უნდა დაიხარჯოს ტრავმებზე ფიქრში და ამით უგულებელყოს თავისი სხეულის ჯანმრთელი ნაწილები. შესაბამისად, გამოვთქვამთ დიდ იმედს, რომ საქართველოს მიღების პროცესი დასრულდება“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ნატო-ს ვარშავის სამიტის შედეგებზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ადგილი ნატოს აქტიური წევრების რიგშია. მან ყურადღება გამახვილა საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილზე და განაცხადა, რომ საქართველო ძალისხმევას არ დაიშურებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოში მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგს და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობას.

გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა რეგიონში შექმნილ ვითარებაზე, საქართველოს, როგორც ლიდერი ქვეყნის როლზე რეგიონში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სიტუაციაზე.

„განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მდგომარეობა საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებზე: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამის ერთ-ერთი მიზეზია ადგილზე საერთაშორისო მონიტორინგის არარსებობა ორივე რეგიონში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას უარი ეთქვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლაზე, რის გამოც ის ვერ ახორციელებს თავის მანდატს. შესაბამისად, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა, რათა აღვადგინოთ ეუთოს სრულფასოვანი ფუნქციონირება საქართველოში,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველო მომავალშიც არ დაიშურებს ძალ-ღონეს, რათა აღადგინოს ნდობა, ხელი შეუწყოს შერიგების პროცესს და ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებების ერთ ქვეყანად გაერთიანებას.

გამოსვლის დასასრულ პრემიერმა კონფერენციის მონაწილეებს ევროპის მომავლის შესახებ მოსაზრებები გააცნო.

„აი, ევროპა, როგორც ჩვენ მას ვხედავთ, ევროპა, რომლის შესანარჩუნებლად ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ; ევროპა, რომელიც არის ღია, ტოლერანტული და აქტუალური მოქალაქეთათვის; თავდაჯერებული და, ამავე დროს, თავმდაბალი ევროპა; ევროპა გამყოფი კედლებისა და ბარიერების გარეშე; ევროპა, რომელიც მუშაობს თავისი უსაფრთხოების გაძლიერებაზე, რათა ხელი შეუწყოს მშვიდობასა და სტაბილურობას მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ერთი სიტყვით, ერთიანი და თავისუფალი ევროპა“, – აღნიშნა პრემიერმა.

მე-13 საერთაშორისო კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძე და გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტის (GLOBSEC Policy Institute) საპატიო თავმჯდომარემ რასტისლავ კაჩერიმ. კონფერენციის გახსნას დაესწრნენ: ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების, ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების მაღალი რანგის, კერძო, სამოქალაქო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები.

* * *

ღონისძიება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ტარდება. წლევანდელი კონფერენციის საპატიო პარტნიორია გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი (GLOBSEC Policy Institute).

კონფერენციაზე გაინიხილება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები, ევროკავშირის საბჭოში სლოვაკეთის საპრეზიდენტო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება და ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარების როლი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. ყურადღება გამახვილდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე. მთავარ განსახილველ საკითხებს შორისაა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირებისა და მისივე შემადგენელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების განხორციელების პროცესი, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია და უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები.

წელს პირველად, კონფერენციის ფარგლებში გაიმართება ღამის სესია, რომლის მონაწილეებიც ჩეტემ ჰაუსის ფორმატში დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირიდან გასვლის შესახებ, ცოტა ხნის წინათ გამართული რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, ევროპის მომავალზე იმსჯელებენ.

კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებს ქართული კულტურის გაცნობის შესაძლებლობაც მიეცემათ.

იოჰანეს ჰანი: ახლა დადგა დრო, რომ ევროკავშირმა შეასრულოს თავისი დაპირება

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ საქართველომ წარმატებით შეასრულა ყველა ვალდებულება სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში და ახლა ჯერი ევროკავშირზეა.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისთვის და ამას ემხრობა წევრი ქვეყნების უდიდესი ნაწილი, ასევე ევროპარლამენტი, რადგანაც საყოველთაოდ არის გაცნობიერებული და აღიარებული, რომ საქართველომ შეასრულა ყველა მოთხოვნა. ახლა დადგა დრო, რომ ევროკავშირმა შეასრულოს თავისი დაპირება. თუკი ამისთვის აუცილებელი გახდა დამატებითი ბიძგი, მე ძალ-ღონეს არ დავიშურებ“, – განმარტა იოჰანეს ჰანმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ევროკომისარმა ასევე ისაუბრა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ღია და გამჭვირვალე გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრისგან, რომელიც ასევე არის მმართველი პარტიის ლიდერი, კიდევ ერთხელ მიიღო მზადყოფნა და სურვილი საპარლამენტო არჩევნების მაქსიმალურად სამართლიან გარემოში ჩატარების შესახებ.

გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა იოჰანეს ჰანს საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესში შეტანილი პირადი წვლილისთვის და იმედი გამოთქვა, რომ შემოდგომაზე საქართველო აუცილებლად მიიღებს ვიზალიბერალიზაციას.

„ქართული ოცნება“ კიდევ 70-80 ადამიანის წარდგენას გეგმავს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით 15 ახალი წევრის გარდა, რომელიც პარტიამ 13 ივლისს წარადგინა, „ქართული ოცნება“ 70-80 სახის წარდგენას გეგმავს.

„სიმბოლური იყო, რომ სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე მოხდა პარტიის სიის ნაწილობრივი წარდგენა. 15 პერსონა იქნა წარმოდგენილი. ეს ახალგაზრდების გუნდია, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში. მათ აქვთ როგორც კერძო, ისე საჯარო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება, რაც წარმატებული მართვისთვის აუცილებელია. არიან ისეთი დარგის წარმომადგენლები, რომელებიც არასდროს ყოფილან მოაზრებული საქართველოს პარლამენტის წევრთა სიაში. წარდგინების დღემ წარმოაჩინა ის დამოკიდებულება, რითაც გაიზომებიან მომავალი დეპუტატები. ეს არის ღირებულებებისადმი ერთგულება.

მისი თქმით, 15 ადამიანი არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ მხოლოდ მათ იმედზე აპირებს არჩევნების ჩატარებას.

„გვაქვს ამბიცია, რომ 85-95 ადამიანით ვიქნებით არჩეული საქართველოს პარლამენტში. ამიტომ, საზოგადოება კიდევ უნდა ელოდოს 70-80 სახეს, რომელიც წარმოდგენილი იქნება პროპორციული თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ასარჩევ პირთა წრეში“, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

ლეგენდარული მევიოლინე საქართველოს ეწვევა

ცნობილი მევიოლინეს ვანესა მეის კონცერტზე დასასწრები ბილეთების ფასი 30 ლარიდან დაიწყება. ბრიტანელი არტისტი კონცერტს Black Sea Arena-ზე 6 აგვისტოს გამართავს.

Black Sea Arenas ივენთ დეპარტამენტის ხელმძღვანელის ანი კავლელიშვილის თქმით, ვანესა მეი საქართველოში სპეციალური პროგრამით წარსდგება.

ელექტრონული კლასიკის დედოფლად წოდებული ვანესა მეი კლასიკური მუსიკის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც „Brit Awards“-ის ნომინაცია მიიღო, როგორც საუკეთესო ქალმა არტისტმა. მას 1997 წელს მიღებული აქვს „მსოფლიო მუსიკის ჯილდო“.

Black sea arena-ზე ვანესა მეის კონცერტზე დასწრების მსურველებს ბილეთების შეძენა 18 ივლისის დილის 9 საათიდან tkt.ge-ზე შეეძლებათ.

წყალს გატანებული ნაწყალობევი

ანუ სავალალო შედეგი იმისა, როცა ხალხმა დღემდე არ იცის, რისთვის და რამდენად კანონიერად დაიხარჯა ამერიკელთა მიერ საგანგებოდ ქუთათურებისთვის ნაჩუქარი მილიონობით ევრო



ბოლო წლების გამოკითხვათა შედეგებმა დაადასტურა, რომ მომწოდებელი კომპანიების მიერ სასმელი წყლით მომარაგება მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა.

საქართველო მსოფლიოში გამორჩეულია ამ მაცოცხლებელი სითხის სიუხვით, მაგრამ დღეს ვერც ერთი ჩვენი ქალაქი, დაბა, სოფელი და დასახლებული პუნქტი ვერ დაიტრაბახებს, რომ ნორმალურად არის უზრუნველყოფილი იმ ნორმატიული აქტის შესაბამისად, რომელიც 2008 წლის 26 ნოემბერს „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ სახელწოდებით მიიღო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ.

ამ დადგენილების მეორე მუხლი მიმწოდებელს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს „შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო წყალმომარაგება კანონმდებლობის, ამ წესების და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად“.

სამწუხაროდ, ამ არსებით მოთხოვნებს საქართველოში წყალმომარაგების ვერც ერთი კომპანია ისევე ვერ აკმაყოფილებს, როგორც სალიტერატურო ქართულის ელემენტარულ ნორმებს მათ მიერ შემოთავაზებული აბდაუბდა. იგივე მდგომარეობაა იმერეთში, მათ შორის ქუთაისშიც. ამის დასტურად საგანგებოდ წარმოგიდგენთ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში სიმძლავრის მიხედვით ერთ-ერთი გამორჩეული რგოლის – ქუთაისის წყალმომარაგების ზოგიერთ არსებით პარამეტრს.

მართლა უწყვეტია და უსაფრთხო?

მთლიანად გაერთიანებულ კომპანიას თავის სამოქმედო არეალში 244 ათასი აბონენტი ჰყავს, მათგან ქუთაისის წყალმომარაგების სერვისცენტრში – 67,8 ათასი, ანუ საერთო რაოდენობის 27 პროცენტი. მეორე ადგილზეა ქართლის სერვისცენტრი, რომელსაც 30,2 ათასი აბონენტი ჰყავს – ქუთაისთან შედარებით ორჯერ და მეტად ნაკლები.

იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია-„ასა“ ათი წელიწადია, აკვირდება და აანალიზებს პრობლემებს, რომლებიც ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით აწუხებს საერთოდ საქართველოს და მათ შორის ქუთაისს. მისი თვალთახედვის არეშია სისტემური, პროგრამული, ინფორმაციული, ფინანსებისა და კადრების, აბონენტებთან ურთიერთობის, სამოქალაქო საზოგადოებასთან დამოკიდებულების, სარეაბილიტაციო სამუშაოთა გამჭვირვალობისა და ეფექტურობის პრობლემები და დაგროვდა დიდძალი მასალა. მათგან მკითხველისა და განმკითხველთა ყურადღებას ამჯერად განსაკუთრებით გავამახვილებთ მხოლოდ იმათზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ კომპანიას მომხმარებლებთან არაპარტნიორული დამოკიდებულება აქვს და ინვესტიციებით მიღებული თანხების ხარჯვისას კონტროლის განხორციელების მიზნით საზოგადოების ჩართულობაზე, ფაქტობრივად, უარს აცხადებს.

მაღლივი კორპუსების გასაჭირი

სასმელი წყლით მომარაგებისას ქუთაისი მდინარე რიონის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მიხედვით ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. მარჯვენა ნაწილი შედარებით მშვიდი, ერთგვაროვანი ვაკეა. ამ ტერიტორიაზე ბევრია მაღლივი კორპუსი, რაც მაღალკვალიფიციურ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან დღემდე გადაუწყვეტელი პრობლემაა მეექვსე და უფრო ზედა სართულები.

საქალაქო ქსელში არსებული ამ სირთულის გამო მოსახლეობა იძულებულია,შექმნას წყალმომარაგების საკუთარი, დამოუკიდებელი ქსელი. სარდაფში დგამენ ტუმბოს, სახლის სახურავზე კი – რეზერვუარს, რათა წყალი თვითდინებით მიიღონ. ეს, იმის გარდა, რომ დიდი რაოდენობის ზედმეტ დანახარჯს იწვევს, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც სერიოზული საფრთხის წინაპირობაა.

მრავალთა შორის ამგვარ მდგომარეობაში მყოფმა ერთ-ერთი მაღლივი კორპუსის, კერძოდ ნუცუბიძის ქუჩის №2 სახლის მცხოვრებლებმა ჯერ კიდევ 2012 წელს მიმართეს კომპანიას, რომ, რადგან წყალს მათ მიერვე დადგმული რეზერვუარებიდან იღებენ და ეს დანახარჯი ზედმეტ ტვირთად აწევთ, წყლის საფასურის გამოწერისას გათვალისწინებული ყოფილიყო მათი მდგომარეობა.

სამწუხაროდ, მოსახლეობამ სასურველი პასუხი ვერ მიიღო და იძულებული გახდა, დახმარებისათვის ჩვენთვის მოემართა.

ჩვენ ამ სახლის წარმომადგენლებთან ერთად მივაკითხეთ „სემეკთან“ არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს. იგი თავის უშუალო შეფს, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას დაეკითხა: „მართალია ესო?“ და,აი, კომპანიის პასუხი (წერილის ნომერი 525/1, თარიღი 01/02 2013): „კომპანია ახორციელებს სასმელი წყლის უწყვეტ და უსაფრთხო წყალმომარაგებას სემეკ-ის №32 დადგენილების შესაბამისად“.

ამ პასუხში რამდენი სიტყვაცაა, იმდენი სიცრუეა.

მისი ავტორ-შემდგენელი აშკარად გვაბრმავებს, როდესაც აცხადებს, რომ **„კომპანია ახორციელებს უწყვეტ და უსაფრთხო მომარაგებას?“**

სად, ვინ და როდის ნახა ქუთაისში უწყვეტი მომარაგება?

ქუთაისის უბნებს, მათ შორის რიონის მარჯვენა სანაპიროს წყალი შეზღუდულად, ე.წ. გრაფიკით აქვს, თანაც მხოლოდ რამდენიმე საათით. მაშ, რა უწყვეტობასა და, მით უფრო, რა უსაფრთხოებაზეა საუბარი?

მას შემდეგ, რაც ქალაქში ლითონის მილები პლასტმასით შეცვალეს, სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების გამო, ერთდაიგივე ქუჩა ხელახლა არაერთხელ გადაითხარა,რამაც არა მარტო ისედაც მწირი ბიუჯეტი დააზარალა, არამედ ცალკეული უბნების იერსახესა და ქუჩების გამტარუნარიანობასაც დიდი ხნით დაასვა თავისი უარყოფითი დაღი..

წყალმომარაგების ამჟამინდელი მდგომარეობა უსაფრთხო არც მოსახლეობის ჯანმრთელობის თვალსაზრისით არ არის. რადგან წყლის დინება ყოველდღე 17-18 საათითაა შეწყვეტილი. ამ პირობებში, დასალევად რომ ვარგისი გახდეს,. აუცილებელია, ხელახლა ჩართვის შემდეგ წყალმა დიდხანს იდინოს. ეს კი საგრძნობლად ზრდის გადასახდელ თანხას, რომელიც უამისოდაც ძალზე დიდია, თითოეული კუბური მეტრი თითქმის უცხოეთიდან ნაყიდი ამავე რაოდენობის ბუნებრივი გაზის ფასს უტოლდება. .

ბუნებრივია, რომ დაუსაბუთებელმა პასუხმა მოსახლეობა ვერ დააკმაყოფილა და თავიანთი ინტერესების დასაცავად ბრძოლა მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მეშვეობით განაგრძეს.

ბიურომ რამდენჯერმე მოუსმინა კომპანიის წარმომადგენლებს და საკითხის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ შესაბამისი გაანგარიშებაც წარუდგინა, მაგრამ ადრესატის პასუხი ამჯერადაც არაადეკვატური გამოდგა: „კომპანია არ არის უფლებამოსილი ერთპიროვნულად შეცვალოს წყლის ტარიფი (№ 755/1, თარიღი 19/11,2013).

პასუხის გამოგზავნის თარიღსა და მის ნომერზე ყურადღებას შემთხვევით არც ამჯერად ვამახვილებთ.

ვინ სთხოვდა კომპანიას ტარიფის შეცვლას?

მოსახლეობა მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ თითოეული ინდივიდისათვის გადასახადის გამოწერისას გათვალისწინებული ყოფილიყო რეალური დანახარჯი.

მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ ამჯერად უშუალოდ „სემეკს“ მიმართა თხოვნით, გარკვეულიყო და აღედგინა სამართლიანობა.

ვნახოთ, რას უპასუხებს იგი არა მხოლოდ ნუცუბიძის ქუჩის №2 სახლის, არამედ ყველა მაღლივი შენობის იმ აბონენტებს, რომლებსაც იგივე პრობლემა აწუხებთ?!

ანაბარი მგელმაც იცის, კომპანიამ - არა!

ინვესტიციების განხორციელებისას საზოგადოების ჩართულობაზე უარი მკაფიოდ დადასტურდა 2007-2010 წლებში განხორციელებული პროექტის შესრულებისას და ამ დამოკიდებულების უარყოფით შედეგებს დღემდე ვიმკით.

იხ. 4 გვ.

„REY AIRLINES“-ი საქართველოში ავიაკომპანიას აფუძნებს

თურქული ავიაკომპანია „Rey Airlines“ საქართველოს დროშის ქვეშ ავიაკომპანიის დაფუძნებას და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან სხვადასხვა მიმართულებით ფრენების განხორციელებას გეგმავს. „Rey Airlines“, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანიამ „ტავ ჯორჯიას“ შუამდგომლობით მოლაპარაკებები სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან, საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან გამართა.

თერჯოლის რაიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანება და ქსელის რეაბილიტაცია დასრულდა

მხოლოდ თერჯოლის რაიონის გამრიცხველიანებისთვის კომპანიამ განახორციელა 5 654 950 ლარის ინვესტიცია. ევროპული სტანდარტების მქონე ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟდა 16 157 აბონენტს. ინდივიდუალური გამრიცხველიანების ბოლო სამუშაოების მიმდინარეობა სოფელ ბროლისქედში დაათვალიერეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილემ გივი ჯღარკავამ და თერჯოლის გამგებელმა თემურ ჯაფარიძემ.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ გულისხმობს მხოლოდ მრიცხველების მონტაჟს; აღნიშნული პროცესი მოიცავს 0,4 კვ ქსელის რეაბილიტაციასაც, რომლის დროსაც ხდება ქსელის ინფრასტრუქტურის განახლება. გამრიცხველიანების გეგმის მიხედვით, 2016 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს 13 რაიონის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. გამრიცხველიანების პროექტს სრულად აფინანსებს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

ლისის „მწვანე ქალაქში“ უკვე მეოთხე პარკი გაიხსნა

პარკი ცნობილი მომღერლის „ტრიო სიმის“ ერთ-ერთი წევრის რეზიკო გელაშვილის სახელობის იქნება, ამიტომ გახსნის ღონისძიება სიმბოლურად მის დაბადების დღეს, 13 ივლისს გაიმართა.

ღონისძიებას „ლისი დეველოპმენტისა“ და კომპანია GRDC-ის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე, თბილისის მერი დავით ნარმანია და რეზიკო გელაშვილის ოჯახის წევრები და მეგობრები დაესწრნენ. „ტრიო სიმის“ გარდაცვლილი წევრის პატივსაცემად ღონისძიებაზე შესრულდა მრავალჟამიერიც.კომპანია „ლისი დეველოპმენტის“ ინიციატივით, 13 ივლისს ტრიოების ფესტივალსაც ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ყოველ წელს, რეზიკო გელაშვილის დაბადების დღეს, მისსავე სახელობის პარკში გაიმართება.

პარკში სტუმრობა და დასვენება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

რეზიკო გელაშვილის სახელობის პარკი მეტი სივრცითა და პანორამული ხედებით გამოირჩევა და ის ლისზე მდებარე სხვა პარკების მსგავსად, იტალიური ხეების ნერგებითა და მოსასვენებელი ინვენტარით იქნება მოწყობილი. უახლოეს მომავალში პარკში განთავსდება ამფითეატრიც.

კომპანია „ლისი დეველოპმენტი“ ეკოლოგიური გარემოს შექმნაზე ორიენტირებული კომპანიაა. პროექტის „მწვანე ქალაქი ლისზე“ მთავარი კონცეფცია 80/20-ია, რაც იმას გულისხმობს, რომ ტერიტორიის მხოლოდ 20% ეთმობა საცხოვრებელ შენობებს, დანარჩენი 80% კი გამწვანებისთვის და დამატებითი ინფრასტრუქტურისთვისაა განკუთვნილი.

წყალს გატანებული ნაწყალობევი

ეს ფოტო იმ დროს არის გადაღებული, როდესაც დავით აღმაშენებლის ძეგლი ჯერ კიდევ არ იყო გადატანილი რკინიგზის სადგურის წინ, ნალენინარ კვარცხლბეკზე და ზუსტად იმ ადგილას იდგა, სადაც დღეს, მისი სახელობის მოედანზე, ის შადრევნებია, რომლებიდანაც წყალი მართლაც უდეფიციტოდ მოჩუხჩუხებს.

მოდი და ამის შემდეგ ედავე კომპანიას, სად გაფლანგა 13 მილიონამდე ევრო, რომლითაც ქუთაისში 24-საათიანი წყალმომარაგება უნდა განხორციელებულიყო!

(მესამე გვერდიდან) 2007 წელს ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოთა პროექტის ხორცშესასხმელად გამოიყო 12 მილიონ 585 ათას 140 ევრო, საიდანაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან „მილენიუმ ჩელენჯერის“ გრანტი იყო 4 მილიონ 256 ათას 200 ევრო. ეს თანხა უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად – ქსელის რეაბილიტაციისათვის 1749000 ევრო, და, მეორე მხრივ, ინდივიდუალური მრიცხველებისათვის 2 მილიონ 317 ათას 200 ევრო, ხოლო საკანალიზაციო ღია ჭების შესაკეთებლად – 200 ათასი ევრო.

ჩვენმა ორგანიზაციამ – „ასამ“, უამრავი მოთხოვნისა და მცდელობის მიუხედავად, ვერც ქუთაისში, ვერც თბილისში და ვერც უშუალოდ ინვესტორებისგან ფინანსური გეგმის საინჟინრო გადაწყვეტის ნახაზები ვერ მოიპოვა. ამის შედეგები კი ფრიად დამაფიქრებელია, რამეთუ მრავალთაგან თუნდაც ის რჩება გაურკვეველი, სად გაქრა და რას მოხმარდა კანალიზაციის ღია ქსელის ავარიული შეკეთებისთვის გათვალისწინებული 200 ათასი ევრო და, საერთოდ, რატომ მოხვდა ეს სტატია ფინანსურ გეგმაში? ვინ შეუკვეთა იგი და თუ აღნიშნული სამუშაო არ უნდა შესრულებულიყო, სად წავიდა საკმაოდ სოლიდური თანხა – 200 ათასი ევრო?

გაცილებით მსხვილ „ღლავთან“ გვაქვს საქმე, როდესაც მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხს თუნდაც ზერელედ ვეცნობით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საფინანსო გეგმა ითვალისწინებდა, რომ „მილენიუმ ჩელენჯერის“ ფინანსური უზრუნველყოფით 2 მილიონ 300 ათას ევროზე მეტი უნდა მოხმარებოდა უშუალოდ ქუთაისში ინდივიდუალური პროექტებით აშენებული სახლებისთვის მრიცხველების შეძენასა და დამონტაჟებას.

ვიდრე ეს იდეა პროგრამის სახეს მიიღებდა, ქალაქ ქუთაისის წყალმომარაგების საკითხები შეისწავლა სპეციალურად მოწვეულმა უცხოურმა საკონსულტაციო კომპანიამ და განსაზღვრა პრიორიტეტები, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველადი, აუცილებელი და სასწრაფოდ მოსაგვარებელი იყო აღრიცხვიანობა. კვლევისას გაითვალისწინეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დასაბუთდა,რომ სახელდობრ ქუთაისში, ეზოებში, ინდივიდუალური პროექტებით აშენებული სახლებისათვის 22 ათასამდე მრიცხველი შეეძინათ და დაემონტაჟებინათ. მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო ის „სტრუქტურული რევოლუცია“, რომელმაც ნისლის სქელი ფარდა ჩამოაფარა არც თუ მთლად გასაგებ, უფრო ზუსტად, აშკარად საეჭვო კომბინაციებს. ქუთაისწყალკანალი ჯერ იმხანად შექმნილმა „დასავლეთის წყალმა“ შთანთქა, შემდეგ კი, 2010 წელს „დასავლეთის წყალი“ „აღმოსავლეთის წყალთან“ ერთად – „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიამ. ამ ეგრეთ წოდებულმა „სტრუქტურულმა რევოლუციამ“ ისეთი ქაოსი გამოიწვია საქართველოსა და მათ შორის ქუთაისში, რომ მას შემდგომ დღემდე ვერავინ გაარკვია, სად წავიდა და რამდენად მიზანშეწონილად დაიხარჯა ამერიკელთა მიერ სახელდობრ რიონისპირა ქალაქისათვის ნაჩუქარი 2 მილიონ 300 ათასზე მეტი ევრო, რაც გეგმის მიხედვით 24-საათიან უწყვეტ წყალმომარაგებასა და ქუთაისელთა გამრიცხველიანებას უნდა მოხმარებოდა?

თუ აშკარა კრიმინალს და ანგარების მიზნით ქალაქისთვის განკუთვნილი ნაჩუქარი თანხის დატაცების მცდელობას გამოვრიცხავთ, ის მაინც არის სავარაუდო, რომ აშკარად დაირღვა „მილენიუმის“ საჩუქრის მიზანი და კონკრეტული ადრესატისთვის გათვალისწინებული თანხა მთლიანად ქუთაისსა და ქუთათურებს, მათ 24-საათიან წყალმომარაგებასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას კი არა, კომპანიის ბიზნესინტერესს – მოგების გაზრდას მოხმარდა.

იმ 21 ათასი მრიცხველიდან, რომლებიც „მილენიუმის“ პროგრამით მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისისთვის იყო შეძენილი და მოსახლეობისთვის უფასოდ უნდა დაეყენებინათ, უფასოდ დააყენეს 7840 ინდივიდუალური მრიცხველი, დანარჩენი 14 ათას 160 კი რატომღაც თავად მომხმარებლებს შეაძენინეს და ყოველ კვანძზე მათი ამოქმედებისთვის თითოეულ ოჯახს 100 ლარი გადაახდევინეს.

ეს აღმაშფოთებელი თვითნებობა არ მოხდებოდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობასა და „სემეკს“ მეტი ყურადღება გამოეჩინა საზოგადოებრივი დამკვირვებლების საგანგაშო სიგნალებისადმი. არადა, მათი ამგვარი ჰაიჰარა დამოკიდებულების გამო ფრიად იზარალეს როგორც ქუთაისმა, ისე იმ ქუთათურებმა, რომლებსაც სამადლოდ ნაჩუქარი თვალდახელშუა ააწაპნეს, თანაც თითოეულს ჯიბიდან დამატებით ამოაცალეს 100-100 ლარიც. ეს კი ერთიანობაში საგრძნობლად სოლიდური თანხაა – ერთი მილიონ 416 ათას ლარი.

თუ გაცილებით მეტი არა, არანაკლებ საჭირბოროტო საკითხია 24-საათიანი წყალმომარაგება, რასაც დავით აღმაშენებლის მოედნის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე, შადრევნების მიღმა გაკრული გიგანტური ბანერები დიდი დამაჯერებლობით გვპირდებოდნენ ჯერ 2008-ში, შემდეგ – „მოკრძალებით ჩასწორებულ“ 2009-ში. არადა, 24-საათიანი წყალმომარაგება იმდენად აუხდენელი ოცნება გამოდგა, რომ 13 მილიონამდე ევროსთან ერთად იმდროინდელი ბანერებივით უკვალოდ გაქრა თითოეული ქუთათურის თვალსაწიერიდან..

გვინდა, შევახსენოთ შესაბამის საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებებს, რომ თუ ძირეულად არ შეიცვალა დამოკიდებულება ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესებისადმი და ამიერიდან მაინც სათანადო ყურადღება დროულად არ მიაქციეს ხალხის ხმას, წინ წყალითა და უკან მეწყერით ისევ გველოდება ის უფსკრული, რომელსაც თავი ძლივს დავაღწიეთ.ეს მით უფრო სათქმელია, რომ საფიქრალი ჯერ კიდევ ბევრი რჩება ჩვენს ქვეყანაში წყლის რესურსებით სხვებივით გამორჩეულ, მაგრამ დღემდე მაინც წყალს დანატრებულ ქუთაისში.



ზაზა ხელაძე,
იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“-ს თავმჯდომარე

◎ კანონი მალე ამოქმედდება

მიწების უფასო რეგისტრაცია არჩევნებამდე დაიწყება

როდის დაიწყება მიწების უფასო რეგისტრაცია, ჯერ ზუსტად დადგენილი არ არის. მთავრობა, მართალია, ჩქარობს და ცდილობს, ყველაფერი არჩევნებამდე მოასწროს, მაგრამ კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს. პარლამენტმა კანონი დაამტკიცა და ახლა მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცედურებია დარჩენილი.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, შეიქმნება სპეციალური ჩარჩო, რომელსაც მოსახლეობა მიწის დაკანონებისთვის გამოიყენებს. აღნიშნული პროგრამა რეგიონში მცხოვრებლების ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

„მოგეხსენებათ, რომ მთელ რიგ მაღალმთიან რაიონებს ის მიწის რეფორმა, რომელიც გატარდა 90-იანი წლების ბოლოს, არ შეხებია და, ვფიქრობთ, ეს გარკვეული დისპროპორცია და უსამართლობა გამოსასწორებელია. ამიტომ მთელ რიგ რაიონებში - მესტიის, თიანეთის, ახმეტის, დუშეთის, ფასანაურის, ხევსურეთის, გუდამაყრის, ანანურის, უკანა ფშავის და ქვეშეთის კონკრეტულ სოფლებზე – ამ რაიონებში ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწების დაკანონებისთვის იქნება სპეციალური ჩარჩო-პროგრამა, რაც ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამ რაიონებში მცხოვრებთათვის.

ლეგალური მფლობელობის შემთხვევაში, მათ ექნებათ ამ საკუთრების ბრუნვაში მოქცევის საშუალება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და უპირველეს ყოვლისა, რეგიონების მცხოვრებთათვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მიწების უფასო რეგისტრაციასთან დაკავშირებით საუბარი უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტულად როდის დაიწყება პროცესი, ამაზე მთავრობიდან ინფორმაცია არ ვრცელდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი **თეა ზაქარაშვილი** კი ამბობს, ჯერჯერობით, არ არის განსაზღვრული ბიუჯეტი, რაც მიწების რეგისტრაციას დასჭირდება. ამიტომ ძნელია ზუსტი ვადისა და იმის დასახელება, თუ რა ფინანსური შეღავათებით ისარგებლებენ მოქალაქეები.

„ბევრს ჰგონია, რომ კანონი პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე შედის ძალაში, რაც მართალი არ არის. ამ კანონშივე არსებობს დათქმა, რომლის მიხედვით, ზოგიერთი მუხლი კანონის გამოქვეყნებიდან 45 დღის შემდეგ ამოქმედდება. ესე იგი, ჯერ მას პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი, შემდეგ ეს მუხლები ამოქმედდეს. ამასთან, წინასწარ განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში ეკონომიკის სამინისტროს ევალება, წარმოადგინოს ფინანსური ანგარიში, თუ რა თანხის ფარგლებში გეგმავს ამ პროექტის განხორციელებას. იუსტიციის მინისტრმაც შესაბამისი ბრძანებები და ინსტრუქციები უნდა გასცეს, პროცესი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება. აქედან გამომდინარე, მიწების რეგისტრაციის შესახებ კანონი, სავარაუდოდ, სექტემბრიდან ამოქმედდება“, – აცხადებს ზაქარაშვილი.

დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-მდეა რეგისტრირებული. წლების განმავლობაში მიწის მარტივ რეგისტრაციას, საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობის გამო, აზომვითი ნახაზების უზუსტობა და ე.წ. გადაფარვის არსებობა უშლიდა ხელს. შედეგად, თავის დროზე საჯარო რეესტრმა მთლიანობაში, 56 000-მდე მიწის ნაკვეთი არ დაარეგისტრირა. ამ პრობლემების მოგვარება კი, დღემდე მხოლოდ სასამართლოს გზით იყო შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და თანხების ხარჯვას იწვევდა.

ახალი კანონპროექტის მიმართ განსაკუთრებული მოლოდინი თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების მფლობელებს აქვთ, რომელთა უმრავლესობა უსახლკაროთა კატეგორიას განეკუთვნება და მათი სტატუსი დღეისათვის ქვეყანაში არანაირი ნორმით არ წესრიგდება.

ბექა დანელია

◎ რეიტინგი

საპაჭრო პოტენციალის პერსპექტივები

ორას ქვეყანაში კომერციული უძრავი ქონების ბაზრის კვლევის შედეგად, შვეიცარიული კომპანიის „სიუს ეფრესიალის“ ექსპერტებმა, ამ სეგმენტის სტაბილურობა მხოლოდ 65 ქვეყანას დაუდგინეს.

კვლევის შედეგების მიხედვით, მსოფლიოში კომერციული მომგებიანობის თვალსაზრისით სპეციალისტებმა ყველაზე პერსპექტიულად თბილისში პეკინის ქუჩა დაასახელეს, რომელსაც 9,9-პროცენტიანი მაჩვენებელი მიანიჭეს.

რაც შეეხება ამ თვალსაზრისით მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის ქუჩებს, პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, მოწინავე პოზიციებზე არიან ბელგრადში (სერბეთი) თავად მიხეილის ქუჩა (9,1 პროცენტი) და კიევში (უკრაინა) კრეშჩატიკი (19 პროცენტი).

სხვა ქვეყნებიდან რეიტინგში მოხვდნენ მაკედონიის, რუსეთის, ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, თურქეთის, გერმანიის, სლოვაკეთის, სლოვენიისა და სხვა ქვეყნების ქალაქების ცენტრალური ქუჩები.

სწრაფი ინტერნეტი საქართველოს ყველა ოჯახისთვის

EBRD-მა მაგთიკომს 100 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონული დირექტორი ბრუნო ბალვანერა და მაგთიკომის გენერალური დირექტორის მოადგილე არჩილ გომიაშვილი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოში სატელეკომუნიკაციო ქსელის გაფართოებას დააფინანსებს, რაც მაგთიკომს საქართველოს რეგიონებში ფართოზოლოვანი კავშირის განვითარებაში დაეხმარება.

EBRD-მა საქართველოს წამყვან სატელეკომუნიკაციო კომპანიას, მაგთიკომს, 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყო, რომელიც საქართველოს რეგიონებში კომპანიის ფართოზოლოვანი კავშირის გავრცელებას მოხმარდება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი დაფინანსება მაგთიკომს საშუალებას მისცემს, კავკასუს ონლაინისგან შეისყიდოს ფართოზოლოვანი ფიქსირებული ინტერნეტქსელის პლატფორმა თბილისიდან მოშორებით მდებარე რეგიონებში ქსელის გაფართოების მიზნით. მაგთიკომი, როგორც ინოვაციებითა და ტექნიკური პროგრესისაკენ სწრაფვით ცნობილი კომპანია, შეძლებს, მომხმარებელს უკეთესი და უფრო სწრაფი ინტერნეტმომსახურება შესთავაზოს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან, გაუმჯობესებული ხარისხის ინტერნეტკავშირის გავრცელება გაზრდის კონკურენციას საქართველოს კავშირგაბმულობის ბაზარზე და უბიძგებს სხვა ოპერატორებს, დაიცვან ქსელისა და მომსახურების ხარისხის სტანდარტი.

მაგთის გენერალური დირექტორის მოადგილე არჩილ გომიაშვილის განცხადებით: „აღნიშნული პროექტი გულისხმობს სწრაფი ინტერნეტის განვითარებას. ჩვენი მიზანიც სწორედ ის არის, რომ საქართველოს ყველა ოჯახს მიეწოდოს ეს სერვისი. ამ ეტაპზე ტექნოლოგიურ გაუმჯობესებაზე გვაქვს აქცენტი გაკეთებული, მაგრამ დაახლოებით 4, 5 წელიწადში ყველა ის რეგიონი უნდა მოვიცვათ, რომელსაც დღეს „კავკასუს ონლაინი“ ვერ ფარავს. რა თქმა უნდა, ამას დასჭირდება რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დამატებითი ინვესტიცია“.

დღესდღეობით „კავკასუს ონლაინს“ უკვე დაფარული აქვს თბილისი, ზუგდიდი, ფოთი და რუსთავი. მაგრამ, როგორც ცნობილია, კომპანიას ფინანსური საოპერაციო პრობლემები შეექმნა და ვერც კონკურენციას უწევდა სხვა კომპანიებს. მაგთიკომთან მიღწეული შეთანხმებით, „კავკასუს ონლაინი“ გადის საცალო ბაზრიდან.

შექმნის თუ არა გარკვეულ მონოპოლიას? — არჩილ გომიაშვილის თქმით, პირიქით, ბაზარზე კონკურენცია გაიზრდება. **„კავკასუს ონლაინს“ ხარისხის საუკეთესო ნიში ჰქონდა და ყველა ევროპულ საზომს აკმაყოფილებს, მათ შორის ხარისხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემები შეექმნა. ახლა, როცა მისი აქტივები ჩვენს ხელში აღმოჩნდა, დარწმუნებულები ვართ ჯეროვან კონკურენციას გავუწევთ სხვა მოთამაშეებს. ეს უკეთესი იქნება როგორც ქვეყნის ეკონომიკისთის, ისე თავად მომხმარებლისთვისაც“,** — დასძენს ის.

პირველ ეტაპზე მაგთიკომმა „კავკასუს ონლაინისგან“ საცალო და კორპორატიული აქტივები შეიძინა. ოთხ ნახევარ წელიწადში კი იგეგმება ათი რეგიონის ჩართვა ფართოზოლოვან ინტერნეტში (ფართოზოლოვანი ინტერნეტი გულისხმობს სტანდარტს, რომელიც აღემატება 2 მგ/წამს).

„ეს პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრირების მოცულობის კიდევ ერთი ნიმუშია. საქართველო მზარდი ეკონომიკის ქვეყანაა, სადაც რეგიონებს უფრო მჭიდრო საინფორმაციო კავშირი ესაჭიროებათ“, — აცხადებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კავკასიის, მოლდოვისა და ბელარუსის რეგიონული დირექტორი **ბრუნო ბალვანერა.** ის ამბობს, რომ **„მაგთიკომი არის ერთ-ერთი ლიდერი და წარმატებული კომპანია საქართველოში. ხოლო განხორციელებული პროექტი კიდევ უფრო გააუმჯობესებს და მოდერნიზებულს გახდის მაგთიკომის სერვისს. ორი პროფესიონალთა გუნდი შეხვდა ერთმანეთს, რამაც გაადვილა კომუნიკაცია. ამიტომაც სულ მოკლე ხანში მოგვარდა დაფინანსების საკითხები. მაგთიკომის მაღალკვალიფიციური თანამშრომლების საშუალებით ოპერატიულად ვიღებდით ინფორმაციას ყველა დეპარტამენტიდან, რამაც გაამარტივა კიდეც მათთან მუშაობა. ჩემი აზრით, ეს არის კარგი დასაწყისი გრძელვადიანი პროექტების განხორციელებისა“.** ცოდნის ეკონომიკაში ინვესტირების **განხორციელებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ქვეყანაში ინოვაციათა სტიმულირებას ცდილობს. ეს ინვესტიცია ხელს შეუწყობს მაღალხარისხოვანი მობილური ქსელის, ინტერნეტისა და ტელემაუწყებლობის პლატფორმის შემდგომ განვითარებას საქართველოს ძნელად მისადგომ რეგიონებში, რასაც მოყვება როგორც ადგილობრივი ეკონომიკის, ისე ზოგადად ქვეყნის კავშირგაბმულობის სექტორის წინსვლა. „ჩვენ სიამოვნებით ვთანამშრომლობთ ისეთ ძლიერ პარტნიორებთან, როგორიც მათიკომია — კომპანია, რომელიც ცნობილია კავშირგაბმულობის სეგმენტში ფართო გამოცდილებითა და კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებით“,** — დასძინა EBRD-ის წარმომადგენელმა.

მაგთიკომი მუდმივად სათვაზობს მომხმარებელს უახლოეს ტექნოლოგიებს. ოპერირების დაწყებიდან მაგთიკომმა მოიცვა მობილური სამყაროს განვითარების ყველა საფეხური და მომხმარებელს შესთავაზა 2G, 4G და 4.5G ქსელები, ასევე — ფიქსირებული ტელეფონი და თანამგზავრული ტელევიზია.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან ამ დაფინანსების მიღება საშუალებას გვაძლევს, უკეთესი საკაბელო ინტერნეტკავშირით უზრუნველყოთ მომხმარებელი, განსაკუთრებით ქვეყნის შორეულ რეგიონებში“, — აცხადებენ მაგთიკომში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში წამყვან ინსტიტუციონალურ ინვესტორად გვევლინება. ქვეყანაში ოპერირების დაწყებიდან მოყოლებული, ბანკმა 2.73 მილიარდი ევროთი დააფინანსთა 195 პროექტი ფინანსურ, კორპორაციულ, ინფრასტრუქტურულ და ენერგეტიკულ სფეროებში. ამ ინვესტიციათა 91 პროცენტი კერძო სეტორში განხორციელდა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2016-2018 წლების სტრატეგიული გეგმა იმ ქვეყნებში, სადაც იგი ინვესტირებას ახდენს, საქართველოს ჩათვლით, სამი პრიორიტეტით ხასიათდება, ესენია: ეკონომიკური მოქნილობა, გლობალურ გამოწვევათა მიღება და რეგიონალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

თეა ბოსია.

◎ მკითხველი და გაზეთი

ეს ჩემი ბოლო პასუხია...

რეპლიკა თემურ ქორიძის წერილზე („ეჰ, იაკობ“)

ბატონო რედაქტორო,

როგორც ადრე მოგწერეთ, მე არ ვაპირებ თემურ ქორიძესთან დისკუსიის გაგრძელებას. ჩემი სათქმელი სამ წერილში (31 მაისის, 15 და 25 ივნისის ნომრებში) ვთქვი, რაც სავსებით საკმარისია მის ნააზრევზე და, აგრეთვე, მასზე, როგორც პიროვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად. ამიტომაც, 7 ივლისს გამოქვეყნებულ წერილზე მხოლოდ პატარა რეპლიკით ვპასუხობ (ამ თემაზე მეტს აღარ შეგაწუხებთ).

ფილოლოგი კაცი იმის მტკიცებას რომ დაიწყებს — დაბადებიდან 52-ე წელი იქნება, მე-13 თუ ნებისმიერი სხვა წელი ყველა საიუბილეო თარიღია, იუბილეაო; კაცს, რომელსაც წლისთავი, რომელიც ყოველწელს შეიძლება აღინიშნოს (დაბადების, გარდაცვალების) და საიუბილეო თარიღები (ანუ მრგვალი, 5 ან 0 ციფრით ბოლოში; ძირითადად, 25 ან 50-წლიანი ინტერვალით რაიმე მნიშვნელოვანის აღსანიშნავი) ერთმანეთისგან აქამდე ვერ განურჩევია, ძნელია სერიოზულად ედავო. „იუბილეს“ განმარტებასთან დაკავშირებით ნაკითხი ქორიძე უცხო სიტყვათა ლექსიკონში (ქართულში) ჩახედვას მირჩევს, „არ გაწყენდაო“. ის კი არ იცის, რომ ამ ლექსიკონში „იუბილე“ არასწორად (არასრულად, მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით!), როგორც წლისთავი ისეა განმარტებული. კარგი იქნებოდა იმ უცხო ენებზე, თუნდაც, რუსულად ენახა ფილოლოგ ქორიძეს „იუბილეს“ განმარტება, საიდანაც ჩვენი ქართული ლექსიკონია კასტრირებულად ნათარგმნი; იგი დარწმუნდებოდა, რომ მწარედ ცდება! ისე კი, ლექსიკონების გარეშეც უნდა იცოდეს განათლებულმა ადამიანმა „იუბილეს“ მნიშვნელობა.

ქორიძისნაირ კაცთან პოლემიკას არავითარი აზრი არა აქვს, მას საყვედურობენ, რომ ზრდასრულ ადამიანს, განათლება-კულტურის(!) ერთ დროს მთლად უფროსს, არ შეშვენის მყრალი ენით მეტყველება და ის კი, პირიქით, უარესს და უარესს კადრულობს. **მას ძალიანაც უნდა, რომ ლანძღვა-გინებასა და შეურაცხყოფაში ავყვე, გავეჯიბრო, მაგრამ ამას არ ვაპირებ** — არა იმიტომ, რომ ამ სფეროში იგი ერთობ დახელოვნებულია, არა, რა თქმა უნდა (ლანძღვაზე ადვილი რა არის!), არამედ იმის გამო, რომ ღირს კი?! **როცა კაცთან წესიერი სიტყვით და არგუმენტებით ვერას გახდები, ლანძღვა-გინებით გულს თუ მოიფხან, მხოლოდ!**

ქორიძე გვიმტკიცებს, რომ ეგზისტენციალიზმის კანონზომიერებანი იცის (დავუჯეროთ სიტყვაზე!), მაგრამ მან უბრალო ჭეშმარიტება არ იცის — **„არ გათეთრდების ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითა“** და, რომ **სულით კუზიანს მხოლოდ ბუნების კანონი ასწორებს!**

იაკობ ლეჟავა.

P. S. რაღა უჭირს იმ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც სტუდენტების აღმზრდელად ასეთი „რაფინირებული“ ენამეტყველი ლექტორი ჰყავთ!

ი. ლ.

როგორ უნდა გიხსენიებდნენ უცხოელნი, ჩემო ობოლო საქართველოვ?!

პასუხად ძალიან, ძალიან ჩაბჟირებულ ქართველთ

ამ ბოლო დროს გაჩნდნენ ადამიანები, ვინ იცის, იქნებ ადრეც იყვნენ და უბრალოდ მე არ ვიცოდი ან არ ვაქცევდი ყურადღებას, რომ მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზე ჩვენი უკვე კარგა გვარიანად მიმცხოვნებული საქართველო უნდა იწოდებოდეს და იხსენიებოდეს მხოლოდ და მხოლოდ „საქართველოდ“, ხოლო ამ მიწა-წყლის მკვიდრი შვილი მხოლოდ და მხოლოდ „ქართველად“.

ამ დიდად პატივცემულ ადამიანთა შორის ბევრი ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანიც არის, რომელთაგან აუცილებლად გამოვყოფდი ჩვენი თანამედროვე ქართველი საზოგადოების უთუოდ გამორჩეულ პიროვნებას, რომელშიც, როგორც იტყვიან, ერთი წვეთიც არ არის არაქართული და რომელმაც უკანასკნელ ხანს ნამდვილად შეძრა ცა და დედამიწა, ანუ არ დატოვა არც ერთი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელთათვისაც არ მიემართა ამ თავისი დაჟინებული თუ ახირებული „სანათლიო“ წინადადებით: **როგორ უნდა იხსენიებდნენ უცხოელნი საქართველოს და ქართველს?** ყველა თავისი ენობრივი და ისტორიული მიდგომისდა მიხედვით თუ ქართული ენობრივი და ისტორიული მიდგომის გათვალისწინებით.

ბატონი ანზორის არაერთი მიმართვა დევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, პარლამენტში, პრეზიდენტის აპარატში, პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში. საკითხი, მოგეხსენებათ, არც ისე იოლი გადასაწყვეტია. არც ის არის იოლი წარმოსადგენი, თუ რა დონეზე უნდა გადაწყდეს ქვეყნისა და ამავე ქვეყნის მოქალაქის სახელდების დადგენა. მე პირადად ეს თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია. ჩემს მდგომარეობაშია, ალბათ, ბევრი სხვაც და, როგორც ჩანს, საბოლოო პასუხიც ამიტომ არ ჩანს.

ვინაიდან ამ აზრის გარკვევამ, ცოტა არ იყოს, მეც კარგა გვარიანად შემაფიქრიანა და დამაგულისყურა, გადავწყვიტე კითხული ადამიანებისთვის მიმართვა, ვისაც აკადემიური ცოდნითაც და ხანგრძლივი გამოცდილებითაც ხელეწიფება ამა თუ იმ ურთულესი საკითხის უფსკრულიდან იმ ჭეშმარიტების ამოზიდვა, რაც ჩვენთვის, ჩვეულებრივი მოკვდავთათვის, შეუძლებელიც არის და ხშირად, მართალია, კეთილშობილურ მიზანს ისახავს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, სასაცილო მდგომარეობაში გვაყენებს.

ვის, ვის და დიდი ფიქრი არ დამჭირვებია, რომ დღეს უკვე 90 წლის ჩვენს სახელოვან მეცნიერ-ფილოლოგს (რომელსაც სხვა მრავალ წიგნთან ერთად დაწერილი და რამდენჯერმე გამოცემულიც აქვს ჩვენში დიდად პოპულარული წიგნი „რა გქვია შენ?“), პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძეს მივადექი და აზრის გამოთქმა ვთხოვე, ამ შემთხვევაში როგორც საქართველოს „საერთაშორისო ნათლიას“.

* * *

სავსებით გასაგებია საზოგადოების ნაწილის სურვილი, – მეუბნება ბატონი ზურაბი, – რომ ჩვენი ქვეყნის სახელწოდება ისე იხსენიებოდეს სხვა ენებზე, როგორც მას ქართველები წარმოვთქვამთ: **საქართველო**. ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი მიესალმება ამ ფაქტს და გაიხარებს, თუ ეს შესრულდება, მაგრამ გარდა იმისა, რომ ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, შეიძლება, სხვა მხრივაც არ იყოს გამართლებული.

სახელწოდება **საქართველოს** ქართველური ტომების მამამთავარ **ქართლოსს** უკავშირებენ. ეს ფუძე პირველად მე-9 საუკუნეში გვხვდება, სახელდობრ, ატენის სიონის წარწერაში. რაც შეეხება სხვა სახელებს, რომლებითაც ჩვენ სხვადასხვა ხალხი გვიხსენიებს, ისინიც ჩვენი ისტორიის ნაწილია. **გურჯ** სპარსულ-არაბულია და მთიან ქვეყანას ნიშნავს, **გეორგია,** ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, წმინდა გიორგის სახელიდან მოდის, სხვა ვარაუდის მიხედვით კი, მიწათმოქმედ ხალხს აღნიშნავს. ეს სახელები სხვადასხვა ენაში ამ ენათა ფონეტიკური კანონების მიხედვით არის შეცვლილი.

ამავე დროს, მხოლოდ ჩვენ არ ვართ ამ დღეში. არაიშვიათია შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ხალხს სხვა ხალხთა წარმომადგენლები სრულიად სხვადასხვა სახელს უწოდებენ. თუ ჩვენ მოვითხოვთ, რომ საქართველოთი გვიხსენიებდნენ სხვა ხალხები, ამ პრინციპით ჩვენც უნდა შევცვალოთ სხვადასხვა ქვეყნის სახელწოდება და შემოვიღოთ ის სახელები, რომლებიც იმათ ენებშია დამკვიდრებული: **დოიჩლანდი** გერმანიის ნაცვლად, **როსსია** რუსეთის ნაცვლად, **ჰაიასტანი** სომხეთის ნაცვლად და ა. შ.

ყოველივე ამის გამო, ისტორიული, დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული სახელების შეცვლისგან, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ, სხვა მხრივ კი დავიცვათ ჩვენი ენის სიწმინდე და ყველანაირად გავუფრთხილდეთ მას.

მეორე კითხულ კაცად, ანუ საქართველოს „საერთაშორისო ნათლიად“ აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე ავირჩიე, ქართულ-სომხურ-ალბანური ისტორიისა და ფილოლოგიის სახელგანთქმული სპეციალისტი.

მე არც ერთი სიტყვით არ ჩავერევი. ქვემოთ ზუსტად მოვიყვან იმ აზრს, რაც ბატონმა ზაზა ალექსიძემ მომწერა:

* * *

ბატონო გურამ, ვეცდები მოკლედ ვუპასუხო თქვენს შეკითხვას ბოლო ხანებში წამოჭრილი საკითხის შესახებ: შესაძლოა, თუ არა, ჩვენს ქვეყანას ყველა ხალხი **საქართველოს** უწოდებდეს და არა იმ სახელებს, რომლებსაც ისინი საუკუნეების განმავლობაში უწოდებენ ტრადიციისა და თავიანთი ენობრივი ნორმების შესაბამისად.

უნდა დავიწყო იმით, რომ ერთი შეხედვით მეც დავუჭერდი მხარს ჩვენი ქვეყნის სახელწოდების, **საქართველოს,** უნიფიცირების იდეას,შესაძლებლად ან სწორად რომ მიმაჩნდეს. ასეთი უნიფიცირება ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ შტატთან გაიგივებისგან მაინც გადაგვარჩენდა. მაგრამ არა მგონია, რთულმა და არაპროდუქტიულმა იდეებმა შედეგი მოგვცეს. თუ რატომ არა მგონია, მოკლედ ჩემს მოსაზრებებს შემოგთავაზებთ.

რამდენად შესაძლებელია, ან საჭიროა კი ამ განზრახვის განხორციელება? მეეჭვება, მსოფლიოს ყველა ქვეყანა წავიდეს იმ სახელწოდებების შეცვლაზე, რომელთაც საუკუნეების მანძილზე იყენებს. წარმოიდგინეთ, რა ხარჯი, რამდენი დოკუმენტის შეცვლა იქნებოდა საჭირო, რამდენ ქვეყანაში და რამდენ ცნობიერებაში.

ამას გარდა, ჩვენ არა ვართ ერთადერთი ხალხი, რომელიც თავის ქვეყანას ერთ სახელს უწოდებს, ხოლო სხვა ხალხი– სხვას. რაც უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს ქვეყანას, მით უფრო მოსალოდნელია, რომ მეტი სხვადასხვა სახელის მატარებელი იყოს.

მაგალითად, ავიღოთ ჩვენი უახლოესი მეზობელი სომხეთი. ამ ქვეყანას მხოლოდ ჩვენ ვუწოდებთ **სომხეთს**. თავის ქვეყანას ისინი ძველად **ჰაიქს** უწოდებდნენ, ახლა – **ჰაიასტანს**. სხვა ყველა ხალხი, მრავალი საუკუნეა, მას **არმენიას** უწოდებს იმ წარმოთქმით, რომელიც მათი ენისთვის ბუნებრივია. სომხებმა რომ გვთხოვონ, მოდი **სომხეთი** დაივიწყეთ და **ჰაიასტანი** შემოიღეთ ქართულ მწერლობასა და მეტყველებაშიო, დავეთანხმებით? არა მგონია, და მართლებიც ვიქნებით. მინიმუმ 15 საუკუნეა (უფრო ადრეული წერილობითი ძეგლები არა გვაქვს), რაც **სომხეთს** (X-XIსს-მდე **სომხითს**) ასე ვუწოდებთ და ვწერთ და რატომ უნდა ავიღოთ ხელი ამ ტრადიციაზე? **არმენია** ხომ კიდევ უფრო დიდი ხანია, დამოწმებულია წყაროებში. ცხადია, ასევე იფიქრებენ სხვა ხალხებიც ჩვენს შეთავაზებაზე. ყველაფერი ეს ისტორიაა, რომელსაც შენარჩუნება უნდა და არა უგულებელყოფა.

საბერძნეთს ასე მხოლოდ ჩვენ ვუწოდებთ: **სა-ბერძნ-ეთ-ი,** ანუ ბერძენთა ქვეყანა. თავის ქვეყანას ისინი უწოდებენ **ელადას,**სომხები მას **ჰუნასტანს** უწოდებენ, ინგლისელები და ამერიკელები **გრიის,** გერმანელები – **გრიიხენლანდს,** რუსები – **გრეციას**. ესტონელები – **კრეეკას**.

გერმანელები თავიანთ ქვეყანას **დოიჩლანდს** უწოდებენ, ფრანგები გერმანიას – **ალემანს,** ინგლისელები – **ჯერმანის,** ჩეხები – **ნემეცკოს,** სერბები – **ნემაჩრას,** ლიტველები – **ვოკეტიას,** ნორვეგიელები და დანიელები – **ტისკლანდს,** ესტონელები – **საკსამაა** და ა.შ.

ინგლისელები თავიანთ ქვეყანას **ინგლენდს** უწოდებენ, მაგრამ ირლანდიელები – **სასანას,** ფრანგები – **ანგლეტერს,** ესტონელები – **ინგლისმაას**.

ფინელები თავიანთ ქვეყანას **სუომის** უწოდებენ, ლიტველები, ლატვიელები და ესტონელებიც დაახლოებით ასე, მაგრამ დიდი უმრავლესობა სხვა ხალხებისა – **ფინლანდიდან** ნაწარმოებ სახელებს.

არ მაგონდება, ვინმეს უნიფიცირება ეთხოვოს.

ახლა ჩვენი ქვეყნის სახელწოდებებს მივუბრუნდეთ.

ჩვენი ხალხი თავის ქვეყანას **სა-ქართველ-ო-ს** უწოდებს, მაგრამ ასე ყოველთვის არ იყო. **საქართველო** დოკუმენტურად პირველად დადასტურებულია 1083 წელს. როდესაც საქართველო მეტ-ნაკლებად ერთიანი იყო, მაშინ ქართველები თავიანთ ქვეყანას უწოდებდნენ **ყოველქართლს**. ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა რომ ჩამოყალიბდა და მასში პირველ ადგილას **აფხაზეთი** მოხვდა („მეფე აფხაზთა, ქართველთა...“) საერთაშორისო არენაზე საქართველოს **აფხაზეთსაც** უწოდებდნენ. სომხები საქართველოს უწოდებდნენ **ვირქს,** ხოლო ახლა უწოდებენ **ვირქისგან** ნაწარმოებ **ვრასტანს**. ბერძნები საქართველოს უწოდებდნენ **იბერიას** (ბიზანტიური წარმოთქმით – **ივერიას**). **გეორგია** და მისგან ადგილობრივი ფონეტიკის შესაბამისად ნაწარმოები სახელწოდებები შედარებით გვიანია, მაგრამ უფრო სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და გავრცელდა ევროპა-ამერიკაში. **გეორგია, გრუზია, გურჯისტანი** და ა.შ, ერთი წარმოშობისაა. საბჭოთა კავშირის გამო **გრუზია** იხმარებოდა მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში. რამდენადაც ვიცი, ბევრგან **გრუზია** უკვე შეცვალა **გეორგიამ** და უშუალოდ მისგან ნაწარმოებმა სახელწოდებებმა. ამრიგად, დღეს საქართველოს აღსანიშნავად ვიყენებთ და იყენებენ **საქართველოს, ვრასტანს, გეორგიას** და მასთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებულ სახელებს(**გრუზიას, გურჯისტანს** და ა.შ.)

დავითვალოთ, ახლა, რომელ ქვეყანას რამდენი სახელი აქვს დღეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრამატიკული თავისებურებების გამო ერთსა და იმავე სახელწოდების სხვადასხვანაირად გამოთქმას ან თარგმნას.

საქართველო – 3; სომხეთი – 3; საბერძნეთი – 4; გერმანია – 7, ინგლისი – 2, ფინეთი –2.

რა თქმა უნდა, ასეთი სათვალავი ყველა ქვეყნის მიმართ, თუ სულ ახლა არ არის შექმნილი (მაგალითად, **ლუქსემბურგი**), უსასრულოდ გავრცელდება.მე მგონია, რომ ჩვენ სხვებთან შედარებით უფრო მეტი სამართლებრივი ან მორალური უფლებები არა გვაქვს. რატომ არ შეიძლება ყველას ისეთი პრეტენზია გაუჩნდეს, როგორიც ჩვენში დაიბადა? რას მივიღებთ შედეგად? არაფერს, გარდა ქაოსისა.

ამა თუ იმ ქვეყნის სახელწოდებები ძირითადად თავისი და სხვა ქვეყნების ხალხთა ენობრივი ნორმების მიხედვით ყალიბდება. მაგალითად, ვამბობთ და ვწერთ **სა-ფრანგ-ეთ-ი!** განა უცნაური არ იქნება, თუ ფრანგს ვთხოვთ, ჩვენს ქვეყანას ქართულად გაფორმებული სახელი უწოდოს, ჩვენ კი მის ქვეყანას – ქართული ენის ნორმებით გაფორმებული სახელი. დაწერს ესპანელი **გეორგიას,** მაგრამ რაც უნდა ეხვეწო, მაინც **ხეორხიას** წარმოთქვამს, რადგან ასეთია მისი ენის ფონეტიკური სისტემა.

ქვეყნების სხვადასხვა სახელწოდებები ისტორიის პროდუქტია. მის ჩამოყალიბებაში მოქმედებს მრავალი ფაქტორი. ეს ყველაფერი საინტერესოა და სიმდიდრეც არის სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისთვის, ენათმეცნიერებისთვის, კულტუროლოგიისათვის. რატომ უნდა ვთქვათ უარი **გეორგიაზე,** რომელიც ქართველში სიამაყის გრძნობას იწვევს თავისი შესაძლო ეტიმოლოგიითა და ისტორიული განფენილობით.

არაფერში არ არის უნიფიცირებული საქართველო და ქართველი ხალხი: ბუნება, დიალექტები, მრავალხმიანი სიმღერები, ხალხური ცეკვები, ისტორიული არქიტექტურა და ორნამენტი, ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური ტიპი, კერძები, ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკური შეხედულებები და მრავალი სხვა. ჩვენი ფსიქოტიპი ასე ჩამოაყალიბა ისტორიამ და კარგი იქნება, თუ ხელოვნურ უნიფიცირებას თავიდან ავიცილებთ.

* * *

აი ასეთია ამ საქმის სიღრმისეულად მცოდნე ხალხის საყოველთაო აზრი.

დასასრულ, ისევ ჩემს კეთილ მეგობარს, ჩემს ანზორ ბაბუხადიას მივმართავ. ჩემო ძვირფასო ანზორ, შენ რომ საქართველოზე მზე ამოგდის და საქართველოს სიყვარულში შენთან გაჯიბრება შეუძლებელია, ეს საქართველოში ძალიან ბევრისთვის ცნობილი ამბავია. სწორედ საქართველოს სიყვარულმა ჩაგაცვა ჩოხა და სწორედ საქართველოს

სიყვარულმა ჩაგაცვა ოთარაანთ ქვრივის ქალამნებიც და მთელი მსოფლიოსთვის გინდა გაგებინება, რომ ჩვენ ამირანის ქვეყანა ვართ და თვით დედამიწის გაჩენასთან ერთად გავჩნდით... რაც, ცოტა არ იყოს, ტრაბახსა ჰგავს და, დამიჯერე, ტრაბახი არ არის კარგი საქმე.

ჩვენდა სამწუხაროდ, სამშობლოს სიყვარულში შენსავით მაინცდამაინც ძალიან ბევრი როდია ჩაბჟირებული. შენ და შენისთანა ქართველები ისედაც ბევრ კარგ საქმეს აკეთებთ საქართველოსთვის, რომლის სახელის მსოფლიოს ხალხთა მიერ წარმოთქმაში ათასწლეულებია იდუმალ ჩამუხტული. ამიტომ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ათასი წლის წინათ მსოფლიოს ხალხთა მიერ ნათელცხებული საქართველო ახალ ნათლიობას არამც და არამც აღარ საჭიროებს.

შენი არ ვიცი, მე კი ორ დიდებულ ქართველ სწავლულს ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს და ბატონ ზაზა ალექსიძეს სრულად ვენდობი, რადგან, ჩემი აზრით, და არამარტო ჩემი აზრით, ორივე ცამდე მართალია.

პაგივისცემით
გურამ გოგიაშვილი

თეთრი ყვავები

ახლახან საქართველომ მიწას მიაბარა სააკაშვილისა და მისი გახრწნილი რეჟიმის პირადი პატიმარი და კიდევ ერთი მსხვერპლი, 47 წლის ღირსეული ქართველი ვაჟკაცი სულხან მოლაშვილი. ამ სამწუხარო ფაქტით არც ბრიუსელსა და არც ვაშინგტონში არავინ შეშფოთებულა, მაშინ, როცა „ცრუსთავის“ გამო მათ შეშფოთებას საზღვარი არა აქვს და პირდაპირ ვიწვი მაგათი საცოდაობით. კიდევ მეტიც, პანაშვიდი და გასვენება მაღალი რანგის, ანუ აშშ-ის პირველი დიპლომატის ჯონ კერის საქართველოში ვიზიტს დაემთხვა და მის თვალწინ მოხდა. დიპლომატიაში ოფიციალური პროტოკოლის გარდა, არსებობს დაუწერელი, ანუ ზნეობრივი ფორმალობა, რასაც თავის მოღვაწეობაში აქტიურად იყენებდნენ სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები. სამწუხაროა, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის სახელმწიფო მდივანმა ამ ტრაგიკული ფაქტის გამო, არც პრესკონფერენციაზე და არც სხვა დროს, სამძიმარი არ გამოუცხადა არც ქართველ ხალხს და არც განსვენებულის ოჯახს. მინდა, მივმართო ასევე აშშ-ის სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ იან კელის და ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, რატომ არ აღგაშფოთათ, ბატონებო, სააკოვის რეჟიმის მიერ ჩადენილმა ამ საზარელმა და სადისტურმა მკვლელობამ, რატომ არ გამოუცხადეთ თანაგრძნობა განსვენებულის ოჯახსა და ქართველ ხალხს?! იმიტომ ხომ არა, რომ მიაჩუმათეთ სააკოვისა და მისი რეჟიმის კიდევ ერთი მძიმე დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს ქართველი ხალხის წინაშე?

მკვლელი, ადამიანების მწამებელი და ქართველი ხალხის მძარცველი სააკოვი ნაძარცვთან ერთად გააპარეთ საქართველოდან და ამერიკაში ბატონკაცურად აცხოვრეთ და შემდეგ ეს თქვენივე კლინიკების მიერ აღიარებული გიჟი უკრაინელ ხალხს მოახვიეთ თავს. ქართველი ხალხის მიერ აღიარებული მკვლელი, თქვენთვის რატომ არის დემოკრატიის შუქურა? ვისი სტრატეგიული პარტნიორი ხართ, ბატონებო, ქართველი ხალხისა თუ მკვლელი სააკოვის?! აქ მსხვერპლთა გვარ-სახელებს აღარ ჩამოვთვლი. პრემიერ ზურაბ ჟვანიას გახსენებაც კმარა. რატომ შეიყვანეთ ჩიხში გამოძიება და რატომ არის ტაბუდადებული ეს თემა?

ჩემთვის გაუგებარია ის აჟიოტაჟი და სკანდალი, რაც ჩვენი სრულუფლებიანი ელჩის არჩილ გეგეშიძის განცხადებამ გამოიწვია მასმედიასა და პოლიტიკურ წრეებში. რა თქვა ისეთი ბატონმა ელჩმა, რაც სიტყვის თავისუფლებასა და პლურალიზმის ჩარჩოში არ თავსდება? რატომ ართმევენ ჩვენი ჟურნალისტები გამოცდილ დიპლომატს სიტყვის თავისუფლებას?! **სასაცილო ისაა, რომ ამერიკელების „თავისუფლი სიტყვის შუქურა“ „რუსთავი-2“-იც კი ბატონ არჩილ გეგეშიძეს ართმევს სიტყვის უფლებას და კომუნისტური ცენზორივით ეპყრობა მის მართალ სიტყვას.** მერე რა, რომ ხელისუფლებაში ზოგიერთი პერსონა პრორუსული განწყობისაა. ხომ არ ჰგონიათ, ეს რომ ასეა, ცერეუში არ იციან?! მერე რა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა გადაგვირჩინა ქართველი ხალხი?! განა სიმართლე არ არის ის, რომ თუ არა ეს ტრაქტატი, აღმოსავლეთ საქართველო ახლა ირანისა და დასავლეთი – ოსმალეთის საზღვრებში იქნებოდა? ამისი აღიარება თურმე ეწყინებათ თურქებსა და ირანელებს?! რა თქვან რუსებმა, როცა თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა ვაშინგტონში განაცხადა ბლოკადის დროს რუსები ვირთხებს ჭამდნენო. მაშინ რატომ არ აღშფოთდა ჩვენი საგარეო უწყება და მასმედია?! ამ განცხადების ავტორი წესიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში თანამდებობაზე აღარ უნდა იყოს. თინა ხიდაშელს ბუზიც ვერავინ აუფრინა. ერთი გეგეშიძე ნახეს დაბალი ღობე და მის გამოწვევას აანონსებენ. ნუთუ არ იციან ქართული ჟურნალისტიკის სუბიექტებმა, რომ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გადაჭედილია პროამერიკული პერსონებით. აბა, ერთი ვკითხოთ ქართველ ხალხს თუ რას ფიქრობს იგი?! სააკოვის გაყალბებული რეფერენდუმის შედეგებს აფრიალებენ დროშასავით. აბა ერთი 8 ოქტომბრის არჩევნებზე პროდასავლური და პროამერიკული პრობლემის გარკვევაც ვცადოთ, და ყველაფერს ნათელი მოეფინება, თუმცა ამის უფლებას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არ მოგვცემენ. ევროპის სახალხო პარტიისა და ჩვენში სააკოვის დოქსოპულოები გაიძახიან, რომ რუსული პროპაგანდაა საქართველოში. მე კი ვიტყვი, რომ რუსული პროპაგანდა კი არა, ფაქტია რუსეთის აღვირახსნილი ლანძღვა. შედეგიც ნათელია – მავთულხლართები. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში პოლიტიკოსების დეფიციტია. 1990 წლის არჩევნებში 5000 კაცი იყრიდა კენჭს. ამდენი პოლიტიკოსი ბაგრატ მეფიდან მოყოლებული დღევანდლამდე არ გვყავს საქართველოში.

2012 წლის არჩევნების შემდეგ წესით და რიგით, ნაცმოძრაობა, როგორც დამნაშავე და ანტიხალხური სუბიექტი, სასამართლოს უნდა აეკრძალა, მაგრამ ნახეთ რა მოხდა: „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები თავისთავს გაუყალბა და ნაცმოძრაობას მიღებული 18 პროცენტის ნაცვლად, 42 პროცენტი გაუფორმა. სამწუხაროა, რომ მკვლელები და ქართველი ხალხის მძარცველები პარლამენტში სხედან, უნდა მეთქვა „ზიან“ და ზიანს აყენებენ ქვეყანას-მეთქი. მკვლელი პარლამენტში ზის და დემოკრატიაზე საუბრობს.

გვახსოვს, 1 ოქტომბრის არჩევნების წინ საქართველოში ჩამობრძანდა აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი. მაშინ ქალბატონი კლინტონი მოგვიწოდებდა არჩევნების დემოკრატიული ნორმების დაცვას, სიტყვის თავისუფლებასა და კიდევ ბევრ რამეს. ეს ოფიციალურად, მაგრამ ქართველი ხალხის ზურგს უკან დირექტივა დაგვიტოვა, რომ პარლამენტში 40 პროცენტამდე ნაცმოძრაობა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. რაც „პირნათლად“ შეასრულა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ, რომელიც მემარჯვენეების, ანუ სააკაშვილის სატელიტი პარტიის წევრი იყო. მიკვირს, რატომ და რა მიზნით მოხდა მისი „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში ხელახალი რეანიმაცია?! ეს ის კაცია, რომლის შესახებ ერთი ჩვენი

გამოჩენილი მწერალი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე წერდა, „ბატონო ბიძინა, რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, ნუთუ საქართველოს ხიდაშელისა და მამაძაღლ საგანელიძის ხელში ტოვებ“. ქართველმა ხალხმა ძალიან მტკივნეულად განიცადა ბატონი ბიძინას წასვლა პრემიერ-მინისტრობიდან.

ქალბატონი კლინტონის ჩამოსვლამ, რაც სააკოვის ლობისტების დახმარებით მოხდა, ნაყოფი გამოიღო. „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მიიღო კონსტიტუციური უმრავლესობა და „მაგარი მიშა“ იმპიჩმენტს გადაურჩა, რითაც გაიხანგრძლივა პრეზიდენტობა, ხოლო პროკურორმა კბილაშვილმა თითი თითს არ დააკარა სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად. ასე რომ, აღიარებული გიჟი ჭკვიანურად გაიპარა, ხოლო ახალმა სპიკერმა

2012 წლის არჩევნების შემდეგ წესით და რიგით, ნაცმოძრაობა, როგორც დამნაშავე და ანტიხალხური სუბიექტი, სასამართლოს უნდა აეკრძალა, მაგრამ ნახეთ რა მოხდა: „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები თავისთავს გაუყალბა და ნაცმოძრაობას მიღებული 18 პროცენტის ნაცვლად, 42 პროცენტი გაუფორმა. სამწუხაროა, რომ მკვლელები და ქართველი ხალხის მძარცველები პარლამენტში სხედან, უნდა მეთქვა „ზიან“ და ზიანს აყენებენ ქვეყანას-მეთქი. მკვლელი პარლამენტში ზის და დემოკრატიაზე საუბრობს.

უსუფაშვილმა ქართველ ხალხს კოჰაბიტაცია შეაბოლა. საქმე ისაა, რომ ცოლ-ქმარს – სპიკერსა და მინისტრს პასუხი არავინ აგებინა, პუტჩისტური მოძრაობის გამო პასუხი არავინ მოვთხოვეთ.

ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები, მასმედია, იცის თუ არ იცის, ყველამ აღიარა, რომ ბატონი ჯონ კერის ვიზიტი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ვერ ვიხსენებ რომელ არხზე, ჩვენი საგარეო უწყების მეორე პირი ბატონი დავით ზალკანიანი უპასუხებდა ჟურნალისტის შეკითხვებს. მე ჟურნალისტიკის ანა-ბანა ძალიან კარგად გამეგება და ვთვლი, რომ დასმული შეკითხვები უაღრესად ლეგიტიმური და პრობლემიდან გამომდინარე, აქტუალური იყო. სამწუხაროდ, მინისტრის მოადგილის პასუხები აბურდულ-დაბურდული და ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა. ასე რომ, დასმულ კითხვებს ან არ, ან ვერ უპასუხა. ბატონი ჯონ კერის ვიზიტის გამო, საზოგადოებაში გაჩნდა ლეგიტიმური კითხვა, იგი ჰაერშია გამოკიდებული. მართალია, მემორანდუმი გაფორმდა, მაგრამ ამის იქით რა თემებზე იყო საუბარი დახურულ კარს მიღმა, ერთმა ღმერთმა იცის. ნათქვამია, ყველაფერი აბანოში გამოჩნდებაო და ცხადია, 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ზოგი რამ ნათელი გახდება.

ყველაფერი პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა განლაგების მიხედვით გაირკვევა. თუ ნაცმოძრაობამ 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახა და მეტიც, მეორე ადგილზე გავიდა, დავრწმუნდებით, რომ ქალბატონ კლინტონსა და ბატონ კერის ჩამობრძანების მიზანი ერთი და იგივე – ნაცმოძრაობის გადარჩენა ყოფილა. ცრუსთაველების ეთერში გამოდიოდნენ ბანი გიორგი რუხაძე, ნაცი ნინო ხოშტარია, ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი, თავისუფალი დემოკრატი ალექსი პეტრიაშვილი. მათი საუბარი სიმართლისგან ისე შორს იყო, როგორც მე და სააკოვი ერთმანეთისგან. იძახიან, რომ ეს არის მნიშვნელოვანი გზავნილები, მაგრამ არც ერთმა არ იცის, რით არის ეს გზავნილები მნიშვნელოვანი, ანდა სულაც რაა ეს გზავნილი?! ისიც ითქვა, მოვა დრო, როცა დავჭირდებით, ნატო შეგვეხვეწება შემოდითო. ნატო ჩვენ საზარბაზნე ხორცად გვიყენებს თავისსავე კონფლიქტების ზონებში, ყოველგვარი ხვეწნის გარეშე. ჩვენმა პოლიტიკანებმა არც კი იციან, რა უნდათ. რა არის ევროატლანტიკური არჩევანი?! ცხადია, ატლანტიკურში აშშ იგულისხმება და არა კონტინენტი. არ იციან, რომ ევროპული და ამერიკული სახელმწიფოებრივი კურსი განსხვავდება დიამეტრალურად. ჩვენ რომელს ვირჩევთ – ევროპულს თუ ამერიკულს? თუ ორივეს? ცხადია, რომ აქ სრული ნონსენსია. თუ ევროპული გვინდა, მაშინ ამერიკული უნდა გამოირიცხოს და პირიქით. იმასაც ვიტყვი, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინტერესებში არ შედის ევროკავშირის გაფართოება და გაძლიერება. ცდილობენ ევროპული დიდი სახელმწიფოები და არა მარტო ევროპული, დააქუცმაცონ, ისე, როგორც იუგოსლავია. აქ ისეთივე ალოგიკურობაა, ვთქვათ და აშშ 50 სახელმწიფოდ რომ დაიშალოს.

ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა აჭარაში ზოგი რამ სასიკეთოდ შეცვალა. ხაბაძის ლობისტებმა, რისთვისაც ის დიდძალ ხარკს უხდიდა, პრემიერი ვეღარ შეაცდინეს. სასიკეთოდ შეიცვალა-მეთქი რომ ვამბობ, ამისი საფუძველი მაქვს. არჩილ ხაბაძეს უკვე მზად ჰქონდა აჭარის უმაღლეს საბჭოში ასარჩევი „ქართული ოცნების“ კანდიდატების სია, რომელიც გადაცმული ნაცებითა და ალასანიას ხალხით იყო სავსე. მიმაჩნია, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის სავარძელს ღირსეული პიროვნება იჭერს. ეს ჩვენი პრემიერის გამარჯვებაცაა. ბატონმა ზურაბმა უნდა განჭვრიტოს აჭარის მოსახლეობის განწყობა და ჩამოიშოროს ხაბაძე-ვარშალომიძის კლანური ჩინოვნიკები.

დარწმუნებული ვარ, ბატონი ზურაბ პატარაძე მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნებიდან“ პირნათელ ადამიანებს შესთავაზებს ამომრჩეველს. მომავალ უმაღლეს საბჭოში არც არჩილ ხაბაძე და არც ავთანდილ ბერიძე არ უნდა მოხვდნენ. თითი თითზე არ დაუკარებიათ ხალხისათვის და პირადი ცხოვრების მოწყობას მოახმარეს ოთხი წელიწადი. მათ ვერ გადაწყვიტეს ისეთი მარტივი საკითხი, როგორიცაა ყოფილი დეპუტატების საპენსიო კომპენსაცია, რითაც დარღვეულია მათი კონსტიტუციური უფლებები. მაშინ, როცა სპიკერობის პირველ თვეში 10 ათასი ლარი პრემიად გამოიწერა, რომელი სტახანოველები ეგენი მყვანან! არ მინდა, განვაგრძო კომპრომატები. ჩემთვის ახლაც გამოცანაა, რა დამსახურებით გახდა პარტიაგადაკეთებული ა. ბერიძე 2012 წლის არჩევნების პირველი ნომერი და აჭარის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის დროს პუტჩისტების გვერდით იდგა და მისი „წვლილიც“ არის ქართველი პუტჩისტებისა და რუსული ჯარის მიერ კანონიერი ხელისუფლების დამხობაში?! ა. ბერიძესთან ერთად ახლანდელ პარლამენტში არიან გადაკეთებული რესპუბლიკელები და ნაცები ა. ჩიტიშვილი, ა. ძნელაძე, გ. ვასაძე, ჯ. ფუტკარაძე. ზოგმა ადრე თავისით ჩამოიხსნა ნიღაბი. მოვუწოდებ აჭარის ახალ ხელისუფალს, გადაკეთებული ნაციონალები, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები არ დაუშვას „ქართული ოცნების“ პროპორციულ სიაში. იქნებ ბატონ არჩილს ნაცებმა დაუფასონ „ღვაწლი“ და ვარშალომიძესთან საარჩევნო სიაში პირველი და მეორე ადგილი გაუყონ. მიკვირს, რატომ ეპატიჟება დეპუტატი ა. ძნელაძე „ქართულ ოცნებაში“, როცა იქ მისი ყოფნაც საკითხავია? ვგრძნობ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და მისი დეპუტატები დამტკიცებისწინა კონსულტაციებზე ბატონ ზურაბ პატარაძეს შეევაჭრებიან (ეს მათი ნაცადი მეთოდია) სკამებისათვის, თუ პროპორციულ სიაში მოსახვედრად, მაგრამ მჯერა, ამ ანკესს ვერ წამოაგებენ, რაც კარგად გამოსდიოდათ ხაბაძესთან.

სათაურში წარმოდგენილი „თეთრი ყვავები“ არც შემთხვევითია და არც მხატვრული სახე. იგი აჭარის რეალური ცხოვრებიდანაა აღებული.

ა. ხაბაძის, ა. ბერიძის, მ. დუმბაძის „გამჭრიახობით“, 2012 წლის არჩევნების პირველი დღეებიდან სამინისტროებში, მერიასა და რაიონულ გამგეობებში, ბათუმის უნივერსიტეტში მაღალი რანგის საჯარო სამსახურებში სააკაშვილ-ვარშალომიძის ყვავების გარეცხვა-გათეთრება ხდება. რაიონებში გამგებლებად გადაათეთრეს ნაცები, რომლებიც 2012 წლის არჩევნებში ჩვენ გვებრძოდნენ. სწორედ რომ, ზოგი მათგანის მიერ იყო უზრუნველყოფილი სარფში ხალხმრავალი დახვედრა სააკოვის აგენტ ლ. ვარშალომიძესთან. ისიც კარგად მახსოვს, თუ არ ვცდები, 2013 თუ 2014 წელს მ. დუმბაძისა და ა. ბერიძის ინიციატივით, აჭარის დეპუტატები საპატრიარქოში გადაცვივდნენ შუამდგომლობისთვის, რათა გადაერჩინათ ბათუმის უნივერსიტეტის ნაცი რექტორი ალიოშა ბაკურიძე, რომელიც პოლიტიკური ნიშნით გვდევნიდა პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც „ქართული ოცნების“ აქტივისტები ვიყავით. ეს ის რექტორი იყო, მე, უნივერსიტეტის პროფესორი, როცა ბათუმის დამოუკიდებელი მაჟორიტარი ვიყავი, პროგრამის წარსადგენად უნივერსიტეტში რომ არ შემიშვა, ხოლო ნაცების კანდიდატს თ. ჩარკვიანს ორჯერ მოუწყვეს გრანდიოზული შეხვედრა. ბიზნესმენი თ. ჩარკვიანი ჯერ გაადეპუტატეს, შემდეგ მილიონები აახიეს და თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. მე კი უნივერსიტეტიდან გამაძევეს. რატომღაც მეგონა, რომ რექტორყოფილი გაგირჩდებოდა, მაგრამ ბურჭულაძე-ლაგაზიძეს მიუბანა და პოლიტსაბჭოში გაიჩითა. ნაციც ასეთი უნდა. ყოჩაღ! აჭარის ტელევიზიამ მოიხსნა ნიღაბი და ვარშალომიძე და დუმბაძე გაავარსკვლავა.

პატრიარქის უნივერსიტეტში სტუმრობისას, ა. ბერიძემ და მ. დუმბაძემ ნაცი რექტორის ქება-დიდება აღავლინეს. ზოგმა დარბაზი დატოვა. ბატონმა ალიოშამ ელვის სისწრაფით აირჩია პროფესორად ორთოდოქსი ნაცი მიხეილ მახარაძე. მე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, როცა ბატონი მიშა, სააკოვში არ აგერიოთ, თანაპარტიელებთან ერთად, იდგა სასამართლოსთან ტრანსპარანტით „თავისუფლება ვანო მერაბიშვილს!“. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში არავის გაუპროტესტებია. ესეც და უნივერსიტეტიც ცალკე საუბრის თემაა. ცალკე თემაა ნაცმოძრაობის სასარგებლოდ გადარიცხული თანხებიც.

გათეთრებული ყვავების ზოგიერთი გვარის დასახელებისგან თავს ვიკავებ, რადგან საგაზეთო წერილის ფორმატი ვერ დაიტევს, ხოლო ფრაგმენტულად წარმოდგენა თემას გააფუჭებს. ვპირდები მკითხველს, რომ მათ პორტრეტებს ცალკე წარმოგიდგენთ.



ზოთა ზოიძე,
მწერალი. ქ. ბათუმი.

მაშველები „ქვის ხანიდან“ თუ ელემენტარული გაუფრთხილებლობა?!..

ქვეყანაში პროფესიონალი მყვინთავების დეფიციტია... – რატომ ვერ ახერხებს სამაშველო სამსახური ტრაგიკული შემთხვევების პრევენციას?

ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად, ზღვებსა და ტბებში ადამიანების დაღუპვის ფაქტები, სამწუხაროდ, ყოველდღიური ქრონიკის ნაწილად იქცა.

მსგავსი შემთხვევების მომრავლება ამ მიმართულებით უსაფრთხოების სტანდარტების სისტემურ დარღვევაზე მიუთითებს. თუმცა პასუხისმგებელი მხარე – შინაგან საქმეთა სამინისტრო – პრობლემას არ აღიარებს და განსაკუთრებული ზომების მიღების საჭიროებას ვერ ხედავს.

სრულიად განსხვავებული შეფასებები ისმის სოციალურ ქსელებში და დარგის სპეციალისტების მხრიდან, რომლებიც ხელისუფლებას ქმედითი რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

ამ მიმართულებით უსაფრთხოების ზომების გამკაცრების აუცილებლობა რომ დგას, ამას ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევები ადასტურებს.

12 ივლისს თბილისის ზღვაზე დაკარგული მოზარდის ცხედარი მაშველებმა მეორე დღეს იპოვეს.

მანამდე, 15 ივნისს ამბროლაურში, შაორის ტბაში სათევზაოდ გასული ახალგაზრდები დაიღუპნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლა და განაცხადა, რომ ტბაზე ადგილობრივი მაშველები მუშაობდნენ და თბილისიდანაც გაემგზავრა ჯგუფი, მაგრამ „ცხედრები ოპერატიულად ამოიყვანეს და თბილისის ჯგუფის დახმარება საჭირო აღარ გახდა.“ რატომ ვერ მოახერხა ადგილობრივმა ჯგუფმა ადამიანების გადარჩენა? – ამ შეკითხვაზე პასუხი არავის გაუცია.

სოციალურ ქსელებში განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა ბოლოს თბილისის ზღვაზე მომხდარ შემთხვევას.

კომენტარების ავტორების ნაწილი, რომლებიც, მათივე განცხადებით, შემთხვევის თვითმხილველნი არიან, ამბობენ, რომ მოზარდს მხოლოდ ერთი მაშველი ეძებდა, რომელიც მყვინთავი არ იყო.

მოყვანილი ფაქტები ბოლო ერთი თვის განმავლობაში მოხდარი შემთხვევების მხოლოდ ნაწილია. სამწუხაროა, რომ სტატიტიკა ბოლო წლების განმავლობაში მზარდია, სახელმწიფოს მხრიდან კი არათუ კონტროლის და პრევენციული ზომების მიღება, პრობლემის აღიარებაც კი იგვიანებს.

სამაშველო და საგანგებო სიტუაციების სამსახურს დახმარება სჭირდება – ამის შესახებ „კომერსანტთან“ საქართველოს წყალქვეშა ცურვის ასოციაციის ხელმძღვანელი **დავით ნიკოლეიშვილი** საუბრობს. მისი თქმით, დღეს უწყებას არ ჰყავს არც საკმარისი ტექნიკა და არც კონტინგენტი. ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ პროფესიონალი მყვინთავების დეფიციტია და ზოგადად, წყალთან და ზღვასთან მიმართებაში საქართველო „ქვის ხანაშია“. მისი თქმით, დღეს ხელისუფლებას გააზრებული არა აქვს, თუ როგორი უნდა იყოს სისტემა. მისივე შეფასებით, ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონების სამაშველო სამსახურები, სადაც შესაბამისი ტექნიკა საკმარისი რაოდენობით არ გააჩნიათ.

მისი მტკიცებით, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი რამდენიმე მიმართულებითაა. პირველი, აუცილებელია თანამშრომლების გადამზადება, ასევე უნდა ამაღლდეს საზოგადოების განათლების დონე, სკოლებში დაიწყოს ცურვის გაკვეთილები. გარდა ამისა, აუცილებელია, მოხდეს შესაბამისი ტექნიკის შეძენა და გაიზარდოს მაშველ-მყვინთავების რაოდენობა. სხვანაირად ტბებსა და ზღვებში ადამიანების დაღუპვის ფაქტების შემცირება ვერ მოხერხდება და სტატისტიკა სულ უფრო მზარდი იქნება.

„ფაქტია, რომ ბოლო 2 წელიწადში ორი მყვინთავი დაიღუპა. ერთი წყალდიდობის დროს, მეორე – მარტვილის კანიონში. ამიტომ, ამ სისტემას უფრო სერიოზულად უნდა დამუშავება. ჩვენი ორგანიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშველებისთვის ტრეინინგებს ატარებს. ამ მხრივ ცოტა წინსვლა გვაქვს. შეუძლებელია და არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ მაშველის მიერ მთელ პერიმეტრს გააკონტროლებს. ასამაღლებელია საზოგადოების განათლების დონეც. მაგალითად, ბოლო დროს მარტვილის კანიონში მომხდარი შემთხვევა რომ განვიხილოთ: ადამიანი 20-მეტრიანი სიმაღლიდან გადმოეშვა, რადგან არ ჰქონდა შესწავლილი, რა სიღრმეები იყო იქ. გადმოხტა და გარდაიცვალა. ასევე არ იციან, რომ ცივ წყალში ნასვამი არ უნდა შევიდნენ. აქედან გამომდინარე, მხოლოდ სამაშველო სამსახურის დადანაშაულება სწორი არ არის. საზოგადოებაც ვერ ერკვევა გარკვეულ საკითხებში. ამიტომაა, რომ ბოლო პერიოდში ამ მიზეზით დაღუპულების რიცხვი იზრდება“, – აცხადებს ნიკოლეიშვილი.

მისივე ინფორმაციით, საქართველოში 43 წყალსაცავი და 850 ტბაა, სამაშველო სამსახური კი ყველგან ვერ დადგება. ნიკოლეიშვილი ერთ-ერთ გამოსავლად სამაშველო სამსახურში კადრების აყვანის წესის შეცვლას ასახელებს და განვითარებული ქვეყნების მაგალითი მოჰყავს, სადაც სამაშველო სამსახურში თანამშრომელი მხოლოდ ფიზიკური ძალის გამო არ აჰყავთ და მისგან სათანადო მომზადების დონეს ითხოვენ.

ნიკოლეიშვილის განმარტებით, პრობლემების მოგვარების თხოვნით მას ბევრჯერ მიუმართავს შს სამინისტროსთვის, თუმცა, ეს ყველაფერი რჩება საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის დონეზე, რაც პრობლემას ვერ აგვარებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა ქვეყნის მასშტაბით, რა ოდენობის მაშველიმყვინთავია, რა კრიტერიუმებით აჰყავთ ისინი სამსახურში და გეგმავს თუ არა ხელისუფლება ამ მიმართულებით დამატებითი ზომების მიღებას გახშირებული ტრაგიკული ფაქტების ფონზე?

შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ შეკითხვებზე პასუხად განაცხადეს, რომ ქვეყნის მასშტაბით მყვინთავების საკმარისი რაოდენობაა, თუმცა სამომავლოდ, მათი რაოდენობის ზრდა იგეგმება. რამდენით გაიზრდება მათი რაოდენობა. რომელ ობიექტს რამდენი მაშველი და ტექნიკა ემსახურება, ამის შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა.

„რაც შეეხება თბილისის ზღვაზე მომხდარ ბოლო შემთხვევას, ეს არც მაშველების არასაკმარისი რაოდენობის გამო მომხდარა და არც არაპროფესიონალიზმის შედეგია. ეს მოხდა გაუფრთხილებლობით, ცურვა არ იცოდა გარდაცვლილმა ადამიანმა. მყვინთავების არაპროფესიონალიზმს რაც შეეხება, ცნობილია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მყვინთავები უმაღლეს დონეზე გადამზადებულები არიან“, – აცხადებენ სამინისტროში.

უწყებაში მყვინთავების რაოდენობას არ აკონკრეტებენ. მათი თქმით, სამინისტროს წერილობით უნდა მივმართოთ და ეს ინფორმაცია ოფიციალურად გამოვითხოვოთ.

სახელმწიფოს მხრიდან მთელი პასუხისმგებლობის მოქალაქეზე დაკისრება კი თავად ამ ორგანოს პასუხისმგებლობის დეფიციტზე მიუთითებს.

სოფო ქსოვრელი

ტრამპი გეპირდება, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი პარასკევს მანჰეტენში დაასახელოს

სი-ენ-ენ-ის ტელეარხმა გააანალიზა ინდიანაში ტრამპის უკანასკნელი შეხვედრები და დაასახელა ყველაზე საალბათო კანდიდატი სახელმწიფოში მეორე პოსტზე: ესენი არიან ინდიანას შტატის გუბერნატორი მაიკლ პენსი და კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ექს-სპიკერი ნიუტ გინგრიჩი.

ასადმა მიუთითა რუსეთის გადამწყვეტ როლზე სირიაში სიტუაციის შეცვლის საქმეში

„მე შევეკითხე პრეზიდენტ ასადს, რამ შეცვალა ომის „რუსეთის“ პოზიცია, – მან დაუყოვნებლივ მიპასუხა“, – დაწერა თავის ტვიტერში ჟურნალისტმა ბილ ნილიმ. სირიის პრეზიდენტმა ასევე გამოთქვა იმის იმედი, რომ რუსეთის ხელისუფლება არ მიიღებს მონაწილეობას გარიგებებში მის პოსტიდან გადაყენებასთან დაკავშირებით.

დედამიწის ზურგზე

ლატვიის თავდაცვის სამინისტრო გვთავაზობს, საბჭოთა სამხედრო ქალაქისაგან მოაწყონ ნატოს პოლიგონი

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში სამხედრო ქალაქ სკრუნდა-1-ში შეიცვალა რამდენიმე მფლობელი. შედეგად მის ტერიტორიაზე განლაგებული შენობები გაუველურდა. მთლიანად ქალაქის შემადგენლობაში დაახლოებით 70

უძრავი ობიექტია. ადრე ამ ტერიტორიაზე განთავსებული იყო სარაკეტო თავდასხმის შესახებ გაფრთხილების სისტემის ცალკეული რადიოტექნიკური კვანძი.

მეი დაპირდა ევროკავშირის ლიდერებს, შეასრულოს ბრიტანელების სურვილი იკუჩშე-ის შესახებ

ამავე დროს ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლონდონს სჭირდება დრო, რათა დაიწყოს მოლაპარაკებები. მან გამოთქვა იმედი, რომ დიალოგი გაიმართება „კონსტრუქციულ და პოზიტიურ ჩარჩოებში“, – თუმცა, თარიღი არ დაუსახელებია.

აზერბაიჯანში მისაღები გამოცდები ფასიანი გახდება

საკითხი შეეხება მისაღებ გამოცდებს განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის, პრობლემურ გამოცდებზე სახელმწიფო სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს უკვე აღარ სურს, გადაიხადოს მათი საფასური. გამონაკლისი გახდება მხოლოდ გამოსაშვები გამოცდები სკოლებში.

ობამას ახალი გეგმა ითვალისწინებს აშშ-ისა და რუსეთის სამხედროების ერთობლივ ოპერაციას სირიაში

დოკუმენტი, რომელსაც მოსკოვში წარადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი ჯონ კერი, ითვალისწინებს, შეიქმნას ახალი ორგანო რუსი და ამერიკელი სამხედროების მონაწილეობით. Join Implementation Grup, რამაც უნდა მოაწესრიგოს „დაზვერვის მონაცემების გაცვლა, მეორე ეტაპზე კი – ერთობლივი ოპერაციების ნებართვის პროცედურების კოორდინაცია“.

ᲣᲠᲔᲙᲨᲘ ᲫᲠᲝᲮᲔᲑᲡ ᲚᲘᲜᲩᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ?

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ **შეერთებული შტატების შექმნის გარიჟრაჟზე, მაშინ, როცა 13 შტატმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სახელმწიფო სტრუქტურები სუსტი იყო, მათი საქმიანობა კი — არაეფექტური. ამიტომ კრიმინალებისა და სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა ასალაგმავად ისევ ხალხმა აღიმაღლა ხმა და მათი გასამართლების ლინჩის წესი შემოიღო. რაღა თქმა უნდა, არც სასამართლო იყო, არც სახელმწიფო ბრალმდებელი, არც დაცვის მხარე და არც ნაფიცი მსაჯული. დაიჭერდნენ „დამნაშავეს“ და იქვე დაუწესებდნენ სასჯელს, ყველაზე ხშირად — ჩამოხრჩობას. შემდგომ სახელმწიფოს, როცა მართლმსაჯულება ასე თუ ისე სრულყოფილი გახდა, დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ლინჩის წესით ბრალდებულთა გასამართლება აეკრძალა და ნამდვილი სასამართლო განხილვა შემოეღო.**

ამ ისტორიის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ევროპისკენ მიმავალი საქართველო შეიძლება ლინჩის წესით სამართლის აღსრულების ფაქტების გზაზე დადგეს და ვაითუ, ამ მიზეზით უარი გვითხრან გაევროპელებაზე.

ეს ყველაფერი კი შეიძლება ცნობილი საზღვაო კურორტიდან ურეკიდან დაიწყოს. იკითხავთ, ალბათ, რაღა გურულებმა უნდა დაიწყონ ყველა რევოლუცია და გამიშვი-დამაკავეო. იმიტომ, ბატონო, რომ გურულები მტკივნეულად რეაგირებენ ხელისფლების წარმომადგენელთა უხეირობაზე. ასე იყო 1905 წელს, ნასაკირალის მოვლენების დროს, რუსეთის იმპერიას ომი რომ გამოუცხადეს. ასე იყო, ბახვის მანიფესტი რომ მიიღეს და რუსეთის იმპერიას ძირი გამოუთხარეს. ბევრი მსგავსი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ ახლა დღევანდელ ურეკზე, ძროხებზე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და გურულებზე მინდა ვილაპარაკო.

გუშინ დილით ასეთი სურათის მომსწრე გავხდი. ურეკში ერთ-ერთი მცირე სასტუმროს ეზოში გახსნილ შაურმის ჯიხურზე მიბმული ძროხა ბღაოდა. უფრო ზუსტად ამ ძროხის ბღავილმა გამაღვიძა. ხილ-ბოსტნეულის გამყიდველ ქალბატონს ვკითხე, ეს რა ხდება-მეთქი. გამწარებულმა მიამბო.

— მრავალსულიანი ოჯახი მყავს, შემოსავალი არაფერი გვაქვს. გადავწყვიტე, ზაფხულში ამ კურორტზე პატარა სავაჭრო გამეხსნა. ნაწილს ხილსა და ბოსტნეულს, რასაც მე მოვიწევ ბოსტანში იმას გავყიდი, სხვას, დავდივარ სხვადასხვა ადგილას, თუ სარფიანად ვიყიდი, აქ მომაქვს და ვასაღებ. დიდი არაფერი მოგება არაა, მაგრამ სულ არაობას სჯობს. თუმცა ჯერ-ჯერობით ზარალის მეტი არაფერი მაქვს. ყოველ დილით აქაურობა გადანგურებული გვხდება ძროხებისგან. ამათგან არც დღისითაა მოსვენება. ხედავთ ჩემი სავაჭრო ყველაზე ხალხმრავალ ადგილასაა, ცენტრშია, მაგრამ საქონლისგან მოსვენება არც ჩვენ გვაქვს და არც დამსვენებლებს. აქაურობა ძროხის ფუნისა და შარდისგან ყარს.

— მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულის სამსახურს ვერ მიმართეთ?

— ვიყავი გამგებელთან, ვთხოვე, გააფრთხილეთ ძროხების მეპატრონეები, ნუ გაუშვებენ პირუტყვს უპატრონოდ საკურორტო ზონაში-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? მე შემიძლია, ერთ რამეში დაგეხმარო. ამ ძროხებს ყურზე პლასტმასის ბირკა აქვთ დამაგრებული, ბირკაზე კი ნომერია. თუ მომიტან, რა ნომერი ძროხაა გაშვებული უპატრონოდ, გეტყვი ვისია, მიდი პატრონთან და გაარკვიე მასთან ურთიერთობაო. წავედი, დავიჭირე ჩემს სავაჭროსთან მოსული ძროხა, ამოვწერე ნომერი და მივადექი პატრონს. ნეტა არ მივსულიყავი, ისეთი დღე მაყარა. მე ურეკელი ვარ და შენ ვინ გეკითხება, ძროხას სად გავუშვებო. სულ ჩამოსული მეძახა. კიდევ კარგი, უარესს რომ გადავურჩი. ახლა რომ ძროხას ხედავ დაბმულს, ამან გამთენიისას რქებით შემოანგრია სავაჭროს დარაბები და გამინადგურა სიმწრით მოტანილი ხილი და ბოსტნეული. სანამ პატრონი არ მოვა და ზარალს არ ამინაზღაურებს, მანამ ამ ძროხას არ გავუშვებ.

— რომ არ აგინაზღაუროს ზარალი?

— არ ვიცი, მაშინ რას ვიზამ, ამ დილით პოლიციამ გამოიარა, ვუთხარი, რაშიც იყო საქმე. რა ვიცი, რა იქნება.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, ურეკს რა ოფიციალური სტატუსი აქვს მინიჭებული მუნიციპალური კურორტის, რესპუბლიკურის, თუ საერთაშორისოსი, მაგრამ დაბეჯითებით გეტყვით, რომ ეს არის, უდავოდ, საერთაშორისო მასშტაბის საზღვაო დასასვენებელი ადგილი თავისი უნიკალური მაგნიტური ქვიშით, თავთხელი წყლით, მაგნიტური ველით, მწვანე ბუნებით და სუფთა ჰაერით. თუმცა აშკარაა, რომ ხელი აკლია აქაურობას. მართალია, წელს პლაჟის ქვიშას სპეციალური ტექნიკა ასუფთავებს, რამდენიმე წელია, გაჰყავთ გაზი, წყალი და კანალიზაცია, წლეულს თაყაიშვილის ქუჩაზე ასფალტიც დააგეს, თუმცა ჯერჯერობით კურორტს არც ცენტრალური წყალმომარაგება აქვს, არც გაზი და არც კანალიზაცია. გასაგებია, რომ ამ პრობლემებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ვერ გადაწყვეტს, მაგრამ პლაჟზე და კურორტის ერთადერთ მოასფალტებულ ქუჩაზე ძროხების ჯოგი რომ არ დადიოდეს და მწვანე ნარგავებს არ ანადგურებდეს, იქაურობას არ აბინძურებდეს, ამის ორგანიზება ხომ შეუძლიათ? თუ ეს აღარ შეუძიათ, ხელფასს რაში იღებენ, ან თანამდებობებს რაღას იკავებენ? წადით სახლებში და ის ხალხი მოვა, ამის გადაწყვეტა რომ შეუძლია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მითხრეს, რომ უკვე დანიშნენ მეველეები, რომლებსაც საკურორტო ზონიდან პირუტყვის გარეკვა ევალებათ. რაღა თქმა უნდა, ამ მეველეებს ხელფასიც ექნებათ ბიუჯეტიდან. ამას ქვია ბიუჯეტის თანხების უყაირათო ხარჯვა-მეთქი, ვუთხარი ოზურგეთელ ჩინოვნიკებს. ამას არ სჯობს, საკრებულომ მიიღოს ნორმატიული აქტი, რომელიც საკურორტო სეზონის დროს პირუტყვის უპატრონოდ გაშვებისთვის მეპატრონეს დააჯარიმებს? იცით, რა იყო პასუხი? არჩევნები მოდის და ხალხის განაწყენებას ვერიდებითო. ამის მთქმელ ჩინოვნიკს იმდენი ჭკუა არ ეყო, ეფიქრა რომ ძროხა აქ 4 თუ 5 ოჯახს ჰყავს, კურორტზე კი ასობით დიდი და პატარა კომერციული ობიექტი და ათასობით დამსვენებელია, რომლებიც შეწუხებული არიან პირუტყვის თარეშით. იანგარიშეთ ახლა რამდენ ხმას მოიპოვებს და რამდენს დაკარგავს ხელისუფლება მისი უმაქნისობით?

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲙᲘᲚᲣᲠᲐᲫᲔ,
„სრ“ აჭარა-გურიის რეგიონული საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი

P. S. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ **მუნიციპალიტეტში მითხრეს, რომ საკრებულოში მზადდება დადგენილება ურეკის საკურორტო ზონაში პირუტყვის უმეთვალყურეოდ გაშვების აკრძალვის შესახებ, მაგრამ როდის გავა საკრებულოს სხდომაზე, არ იციან. ალბათ, არჩევნებს ელოდებიან, მაშინ კი საკურორტო სეზონი კარგა ხნის დამთავრებული იქნება.**

რაც შეეხება ხილ-ბოსტნეულის გამყიდველის მიერ ტყვედ აყვანილ ძროხას, ჯერჯერობით დაუდგენელია, რა სასჯელს გმოუტანენ მას. თუმცა მისი მეპატრონე ამაზე, ალბათ, დიდად არ წუხს. კარგად იყოს პარლამენტი და ქალბატონები ბესელია-კობახიძე-კაკაბაძე ამდენი „პოლიტპატიმარი“ შეიწყალეს და გამოუშვეს ციხიდან და ერთი ძროხის „სვაბოდაზე“ გაყვანა რა ყოფილა.

Ა. Კ.

ᲒᲝᲜᲘᲝᲨᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘᲐ 5-ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ - „ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ?

ᲒᲝᲜᲘᲝᲨᲘ **ინდუსტრიული ზონის „შავი ზღვის მარგალიტის“ პროექტის ინვესტორები მზად არიან, საქართველოს მთავრობის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. ზონის ადმინისტრატორი ქართული კომპანიის „კორპორაცია ბიზნესისა და ტურიზმის საერთაშორისო ცენტრის“ ვიცე-პრეზიდენტი არჩილ დოლიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობისგან მიიღეს პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პროექტი დაიწყება. მისივე თქმით, უცხოელ ინვესტორებს არაფერი აქვთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების საწინააღმდეგო.**

„კომერსანტის“ კითხვაზე, რა პირობების გათვალისწინება და მოთხოვნების შესრულება მოუწევს ზონის ადმინისტრატორ კომპანიას და ზოგადად, ინვესტორებს, დოლიძე აცხადებს, რომ კომპანიისგან ამის თქმა არასწორი იქნება და ეს მთავრობამ უნდა გააკეთოს.

დოლიძე ამბობს, რომ 18 ივლისს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გაიმართება პრეზენტაცია-კონფერენცია, რომელშიც მთავრობის წარმომადგენლები და უცხოელი ინვესტორები მიიღებენ მონაწილეობას.

პროექტი გონიოში 315 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება. იდეის ავტორი შპს „ჯორჯიან ბელარუს ბიზნეს ჯგუფია“, რომელმაც პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქვეყნის ინვესტორთა ჯგუფი გააერთიანა და სააქციო საზოგადოება „ICBT CORPORATION-ბიზნესისა და ტურიზმის საერთაშორისო ცენტრი“ შექმნა.

ინდუსტრიული ზონა სამ ნაწილად იქნება დაყოფილი. პირველი ბიზნესობიექტების განთავსებას გულისხმობს, სადაც განთავსდება საფონდო ბირჟა, სალიზინგო კომპანიები და ბიზნეს-სუბიექტები. მეორე ნაწილი ტურისტულ ზონას გულისხმობს, სადაც მაღალი კლასის სასტუმროები განთავსდება. მესამე კი ვირტუალურ ზონას გააერთიანებს, სადაც IT ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის მშენებლობა იგეგმება.

დოლიძე ამბობს, რომ საინვესტიციო თანხა დაახლოებით 4,5-5 მილიარდი აშშ დოლარია. მისივე ინფორმაციით, პროექტით ასევე იგეგმება გურიასა და იმერეთში აგროსამრეწველო კომპლექსების მშენებლობა.

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე პროექტ „შავი ზღვის მარგალიტს“ უპრეცედენტოს უწოდებს და აცხადებს, რომ გურიის რეგიონში პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 20-მდე საწარმოს აშენება. მათ შორის იქნება ქათმის ფერმა, მინის ტარის წარმოება, სანაყინე, ბავშვთა კვება და ასე შემდეგ.

2015 წლის ივლისში კომპანიაში აცხადებდნენ, რომ პროექტის ფარგლებში შეიქმნება საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი, რომლის ლიცენზიაზეც კომპანიას ეროვნულ ბანკისგან მზაობა აქვს. ლიცენზია ზონის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ გაიცემა.

„ამ ბანკის მეშვეობით განხორციელდება ტრანზაქციები. ჩვენმა პარტნიორებმა უკვე დააფინანსეს პირველადი სამუშაოები“, — ახადებდნენ კომპანიაში.

გარდა ამისა, 93 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე იგეგმება სამრეწველო ზონის შექმნა, რომელიც 18-20 მსხვილი საწარმოს ამოქმედებას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით დაახლოებით 800-850 მილიონ დოლარამდე ინვესტიციის განხორციელება იგეგმება. დასაქმდება 20 000 ადამიანი. პროექტი გულისხმობს ტურისტულ მიმართულებასაც. პროექტის დასრულება 2019 წლის აპრილ-მაისში იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიული ზონის „შავი ზღვის მარგალიტის“ განხორციელება აჭარის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობის გამო 2015 წლის ზაფხულიდან ჭიანურდება.

ᲡᲝᲤᲝ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ

◎ ვაი, გოგონათაგან!

რა გვეევროპება...

ამ დღეებში თბილისს დიდი პატივი ხვდა წილად — ახალმა სპორტის სასახლემ 18 წლამდე ასაკის გოგონათა ევროპის ჩემპიონატის „C“ დივიზიონის შეხვედრებს უმასპინძლა.

იცოცხლეთ, ეს ფაქტი მართლაც თვალნათლივ მეტყველებს ქართული სახელმწიფოს — ზოგადად, და ჩვენი კალათბურთის — კონკრეტულად, აღიარებაზე, მაგრამ აღნიშნული დაფასება ისეთი კრახით დაგვირგვინდა, უარესს ვერც წარმოვიდგენდით. თუმცა, მოდით, სათქმელს თანმიმდევრობით მივყვეთ.

მონაწილეთა კენტი რაოდენობის გამო (საქართველო, სომხეთი, ანდორა, კოსოვო, გიბრალტარი, სან-მარინო, უელსი) გუნდები უთანაბრო ჯგუფებად დაიყვნენ. ვინაიდან ლელა ცანავასა და როლანდ გელოვანის შეგირდები ოთხნაკრებიან წინასწარ რაუნდში მოხვდნენ, სამი მატჩის გამართვა მოუწიათ, ხოლო მათ მეტოქეებს ფინალში — სომხებს — მხოლოდ ორის.

ხუთდღიან ტურნირში ასეთი დატვირთვა, დაგვეთანხმებით, უფროსებისთვისაც კი მეტისმეტია, დასახელებული ასაკის გოგონებისთვის ხომ — განსაკუთრებით. დავიჯეროთ, კენჭისყრის დროს მასპინძლებს მინიმალური შეღავათიც კი არ ეკუთვნოდათ?

მოკლედ, ჯგუფური ეტაპი უდანაკარგოდ კი გავიარეთ, მაგრამ გადამწყვეტმა ცალფარა ბრძოლამ მეზობლებთან ყველაფერზე თვალი აგვიხილა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ზემოთნათქვამი აისბერგი ყოფილა, სიღრმეში კი, თურმე, „ჯვაროსანთა“ უსუსურობა იმალებოდა. სხვაგვარად ძნელია შეფასდეს ის სამარცხვინო სურათი, რაც საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სიმბოლურად დაიხატა: პირველი პერიოდი — 2:22, პირველი ტაიმი — 10:36, საბოლოო შედეგი — 32:66(!).

მოგეხსენებათ, ამა თუ იმ გუნდის თამაშის შეფასებისას უტყუარ ბარომეტრს ტრიბუნების რეაქცია წარმოადგენს. ჰოდა, სავსებით ლოგიკურია, რომ მაყურებელთა აბსოლუტური უმეტესობა, სხვა ნაკრებების წევრთა ჩათვლით, მხარს სტუმრებს უჭერდა და კაცს თავი ერევანში გეგონებოდა.

არანაკლებ სამწუხაროა, რომ ეს სირცხვილი სვეტიცხოვლობა დღეს ვჭამეთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თანამშრომლობა

ლენდლი: მარეის შეუძლია, პირველი ნომერი გახდეს

ლეგენდარულმა ჩეხმა ჩოგბურთელმა და ამჟამად ბრიტანელი ენდი მარეის მთავარმა მწვრთნელმა ივან ლენდლმა თავისი შეგირდის შესახებ ისაუბრა.

„ენდის შეუძლია, რეიტინგით ნომერ პირველი ჩოგბურთელი გახდეს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ენდის შეუძლია, თავისი ტაქტიკა კიდევ უფრო გაიმდიდროს. როცა მარეი ბოლოს ჯოკოვიჩს შეხვდა, თანაბრად ეთამაშა, მაგრამ რამდენიმე ბურთმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ჩვენი მიზანი არაა ბევრი „გრანდ სლემის“ მოგება, არამედ ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი შეხვედრა მოვიგოთ“, — განაცხადა ლენდლმა.

შეგახსენებთ, რომ ენდი მარეი მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი არასდროს ყოფილა.

ამჟამად რეიტინგის სათავეში 15 040 ქულით ნოვაკ ჯოკოვიჩია, ხოლო ენდი 10 195 ქულით მეორე ადგილს იკავებს.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ბელენ როდრიგესი და ჯიბლუ ხაკანი

თვით იმ ჩვენი ცოდვით სავსე ჯიბლუ ხაკანს არ აუოხრებია თბილისი ისე სასტიკად და დაუნდობლად, როგორც არგენტინელმა მოდელმა და მსახიობმა ბელენ როდრიგესმა ის ხალხი წყევლა, კრულა და ააოხრა, ვინც მასზე იძახდა, ბელენს პასპორტში წლები აქვს მოკლებული, თორემ მასზე დიდი ბებრუხანა დუნიაზე არ დაიარებაო.

ბელენ როდრიგესი რომელი აფრიკელი ფეხბურთელია, წლების მოკლება რომ დასჭირვებოდა? მაგრამ ამ ყიამყრალ ხალხს რას გაუგებთ? თანაც, ასეც რომ იყოს, ამ ქალს თავის ცხოვრებაში უკვე იმდენი უნახავს და იმდენი ფეხბურთელის მკლავებში უკოტრიალია, რომ წლები კი არა, თვალის სინათლეც რომ მოიკლოს, ვის გაუკვირდება?

ისე, ვინ იცის, შეიძლება დასაწყისში ნახსენებ ჯიბლუ ხაკანსაც კი ჰქონდა წლები მოკლებული. აბა იმ ოხერტიალს, გაგანია ალყის დროს, როდესაც თბილისელმა ციხის დამცველებმა ციხის ქონგურიდან გოგრისგან გაკეთებული მისი ფიტული გადმოუკიდეს, ისე გაბრაზდა, აშკარად იქ მყოფი მავანი ლამაზმანისა შერცხვა და მოერიდა — ეგეთი სახემიჭყლეტილიც არ ვარო. ჰოდა, გაბრაზება მაშინ იცოდნენ თუ იცოდნენ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რეიტინგი

სენსაციის საფასური

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ფიფას კლასიფიკაციაში ბოლო ერთი თვის მონაცემებით პოზიცია გაიუმჯობესა. „ჯვაროსნები“ განახლებულ რეიტინგში 19 პოზიციით დაწინაურდნენ - 137-დან 118-ე ადგილზე გადაინაცვლეს, ქულათა მარაგი კი 260-დან 318-მდე გაზარდეს. განვლილ თვეში ვლადიმირ ვაისის დამოძღვრილმა საქართველოს ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა — 1:5 წააგო რუმინეთთან, ხოლო ესპანეთთან ისტორიული გამარჯვება მოიპოვა — 1:0.

ფიფას რეიტინგს სათავეში ისევ არგენტინის ნაკრები უდგას, მერვედან მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა ევროპის ახალმა ჩემპიონმა პორტუგალიის ნაკრებმა. სიმბოლურია, რომ პორტუგალიელებმა ადგილი ესპანეთის ნაკრებს გაუცვალეს, რომელსაც ევრო-2016-ზე კონტინენტის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. ათეულს დაუბრუნდა ევროპირველობის ფინალისტი საფრანგეთის ნაკრები. დეშამის გუნდმა 10 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და ახალ რეიტინგში მეშვიდეა.

ათეულს იტალია აბოლოებს, რომელმაც ორი პოზიციით წაიწია წინ. მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებთა ათეულს მიუახლოვდა მუნდიალის შესარჩევში საქართველოს ერთ-ერთი მეტოქე უელსის ნაკრები — ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები 15 პოზიციით დაწინაურდნენ და ამჟამად მე-11 ადგილზე იმყოფებიან.

აქვე გთავაზობთ რეიტინგის საუკეთესო ათეულსა და მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს მეტოქეთა (უელსი, ავსტრია, ირლანდია, სერბეთი, მოლდოვა) პოზიციებს:

1. არგენტინა — 1585, 2. ბელგია — 1401. 3. კოლუმბია — 1331, 4. გერმანია — 1319, 5. ჩილე — 1316, 6 (+2). პორტუგალია — 1266, 7 (+10). საფრანგეთი — 1189, 8 (-2). ესპანეთი — 1165, 9 (-2). ბრაზილია — 1156, 10 (+2). იტალია — 1155, 11 (+15). უელსი - 1137, 21 (-11). ავსტრია — 875, 31 (+2). ირლანდია - 768, 47 (+7). სერბეთი — 576, 118 (+19). საქართველო — 318, 166 (-7). მოლდოვა — 151.

გიორგი ზოთაძე

◎ არც ჩვენ გვაწყენდა...

იქნებ ვიკინგების გაკვალულ გზას მივყვეთ...

ახლახან დასრულებული ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის უმთავრესი სენსაცია და აღმოჩენა, რა თქმა უნდა, ისლანდიის ნაკრებია, რომელმაც ტურნირიდან ინგლისის ნაკრები გუნდი „გაუშვა სახლში“, თუმცა კი შემდეგ თავადაც მოუწია სამშობლოში გამგზავრება. ისლანდიელ ფეხბურთელთა და მათი გულმხურვალე ქომაგების გარეშე კი, რომლებიც თანამემამულეებს თავს ზევით ტაშის შემოკვრითა და „ჰუს!“ ძახილით ამხნევებდნენ (რომელიც, სხვათა შორის, არც არაფერს ნიშნავს და, უბრალოდ, შეძახილია), ევრო — 2016-ს თითქოს ეშხი და ლაზათი დააკლდა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ უკან დახევა ისლანდიელებს საერთოდ არ სჩვევიათ, არ-დახევა — ერთგვარად მათი ეროვნული ხასიათის თვისებაა. სიტყვებს „ბრძოლა საკუთარი ქვეყნისთვის ისე, როგორც საკუთარი ოჯახისთვის“, ისინი პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამენ. საქმე ის არის, რომ **ისლანდია იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ იქ ყოველი ადამიანის გარდაცვალებას რადიოთი აცხადებენ!**

ისლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, თუმცა კი პროფესიული მას აშკარად არ ეთქმის. კლუბებში, უმეტესწილად, ისინი თამაშობენ, ვინც მთელი კვირის განმავლობაში ოფისებში მუშაობენ, თანაც ხელფასები ფეხბურთელებს ისეთები აქვთ, რომ კაცი ოჯახს ამ ფულით ვერ შეინახავს, მით უმეტეს, რომ ნახევარი გადასახადებს მიაქვს. მეტიც: ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ისლანდიელი ფეხბურთელები ზამთრობით... ხელბურთელებად იქცეოდნენ, ვინაიდან **კლიმატის გამო ფეხბურთის თამაში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში შეიძლება,** ხელბურთელები კი დახურულ დარბაზებში თამაშობენ.

სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ დაახლოებით 2000-იანი წლების დასაწყისში ისლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ კმარა ფეხბურთის კლიმატის მძევლად ყოფნა და დახურული საფეხბურთო მანეჟების მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის სპონსორობა ადგილობრივი კომუნების მმართველობის ბიუჯეტებიდან ხორციელდებოდა, რომლებშიც მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების ნახევარი მიიმართებოდა. **მას შემდეგ, რაც ინფრასტრუქტურის საკითხი მოგვარდა, ისლანდიელებმა ყურადღება მწვრთნელთა კადრებზე გადაიტანეს** და თუკი მანამდე ბიჭუნებს ენთუზიასტები უფასოდ ავარჯიშებდნენ, ამჟამად ბავშვებთან მუშაობა მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე პირს შეუძლია, რომელიც ამ საქმიანობაში ფულსაც იღებს. **ნიჭიერი ბიჭუნას ისლანდიაში ტყუილ-უბრალოდ დაკარგვა სრულიად წარმოუდგენელი ამბავია, რადგან დემოგრაფიული რესურსი მწირია, ამდენად იქ თითოეულ ბავშვს თვალისჩინივით უფრთხილდებიან.**

აი, ასეთ პირობებში გაიზარდა თაობა, რომელსაც უდიდესი ყურადღებით აკვირდებიან ევროპელი სკაუტები, რომლებიც სპორტულ ტალანტებს ეძებენ. ფეხბურთელები კუნძულზე არ ჩერდებიან — 15-17 წლის ასაკში ისინი სათამაშოდ ინგლისში, გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში მიდიან. თითოეული თავის გამოჩენას ცდილობს იმიტომ, რომ ყველა მათგანს მთელი ქვეყანა ადევნებს თვალყურს. ამჟამად საზღვარგარეთ დაახლოებით ასი ისლანდიელი ფეხბურთელი თამაშობს, ამიტომაც ნაკრებში მოსახვედრად ცოტაა ნორვეგიის ან დანიის მეტ-ნაკლებად გამორჩეულ კლუბში ფეხბურთელი ჩანდეს — კონკურენცია ძალიან დიდია. ისმება კითხვა: როგორ ახერხებენ ისლანდიელები ასე შეწყობილად თამაშს, როცა ისინი მთელი ევროპის კლუბებს არიან მოდებულნი? როგორ და ის ბიჭუნები, რომლებიც ახლა 25-26 წლის ასაკისანი არიან, ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ, ეს განსაკუთრებით რეიკიავიკელებს ეხებათ. ეს ის პირველი თაობაა, რომელმაც საფეხბურთო მანეჟები გამოიარა და ახალგაზრდობაშივე გაბრწყინდა.

ამდენად, ისლანდიის მოხვედრა ევროპის რვა საუკეთესო გუნდს შორის, ეს სენსაცია კი არა, კანონზომიერებაა — ფეხბურთით დაინტერესებამ და დაუღალავმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო.

ამდენად, მისაბაძი, იცოცხლეთ, ბევრია, მაგრამ, არის კი ნეტავ იმის სულისკვეთება, რომ ვიკინგების მაგალითს მივბაძოთ?

ოთარ ტურაბელიძე

„გამონათებული“ უფლისწული

ბევრი ისტორიკოსის აზრით, გუატამას გვარის უფლისწული სიდჰართჰა, რომელმაც მიწიერი გარდასახვების წრიდან გამოსავალი ნახა, ჩ.წ.ა.მე-6-მე-5 საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა.

იგი 49 დღის განმავლობაში მედიტირებდა, უზენაეს ჰარმონიას — ნირვანას მიაღწია და ბუდა გახდა, რაც სანსკრიტულად „გამონათებულს“, „გამოღვიძებულს“ ნიშნავს.

* * *

„კეთილშობილმა კაცმა იცის მხოლოდ მოვალეობა, მდაბიომ იცის მხოლოდ სარგებელი“, ამბობდა ჩინელი ბრძენი კუნ ფუ-ცძი („მასწავლებელი კუნი“), რომელიც ევროპულ კულტურაში კონფუციის სახელითაა ცნობილი.

კუნ ფუ-ცძიმ ჩინეთის ისტორიაში ყველაზე გავლენიანი



ეთიკური სწავლება შექმნა. გადმოცემით, კონფუციის თანამედროვე იყო დაისიზმის შემქმნელი ლაო-ცძი, თუმცა კი ისტორიულად მისი არსებობა დადასტურებული არ არის.

კანის ფერი და... ქალის ჰორმონები

მკვლევარები აცხადებენ,

რომ კანის ფერის რეგულირება ქალის სასქესო ჰორმონების მეშვეობით შეიძლება.

მედიკოსთა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ქალის სისხლში ესტროგენის კონცენტრაციის მატება კანს ამუქებს, პროგესტერონისა კი — ათეთრებს. აღმოჩნდა, რომ ქალის სასქესო ჰორმონები მელანოციტების — კანის ფერის განმსაზღვრელი უჯრედების პროდუქციაზე ზემოქმედებენ.

საკუთარ მანქანას, თურმე, მეტრო სჯობს

კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სხვებზე მეტად დიდ ქალაქებში ის მუშაკები „იწვებიან“, რომლებიც სამსახურში პირადი ავტომანქანებით მიდიან.

აღმოჩნდა, რომ ამ ხალხს სტრესის მეტად მაღალი დონე აქვთ. მათ კი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილდება, სამუშაოს პროდუქტიულობაც მაღალი, ხოლო განგაშის შეგრძნების დონე დაბალ დონეზე აქვთ.

9-წლიანი ლოდინის შემდეგ სამართალმა იზეიმა

ზურაბ ადეიშვილი კობა დავითაშვილის ცემის ფაქტზე პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა გახსნა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დროს კობა დავითაშვილის ცემისა და მისი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტი.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ კობა დავითაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ნაცემ მდგომარეობაში გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანა განხორციელდა სპეცდანიშნულების რაზმის წევრების მიერ, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის დავით ქარსელაძის დანაშაულებრივი გეგმითა და ორგანიზებით.

კერძოდ, დადგენილია, რომ 2007 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები. საქართველოს იმჟამინდელმა გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა თავისთან კაბინეტში დაიბარა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე დავით ქარსელაძე და დაავალა, რომ მისდამი დაქვემდებარებულ სპეცდანიშნულების რაზმსა და ოპერატიულ დანაყოფებს გაეკონტროლებინათ ისეთი ხალხმრავალი ადგილები, როგორიც იყო ე.წ. „ელიავას“, „ვაგზლის“ და „ლილოს“ ბაზრობები და ადგილზე ოპოზიციის ლიდერების გამოჩენისთანავე აღეკვეთათ მათი მხრიდან ბაზრობის ტერიტორიაზე აგიტაციისა და მიტინგზე წასასვლელად ხალხის მობილიზების ფაქტები.

ზურაბ ადეიშვილისგან მიღებული დავალების შესაბამისად, დავით ქარსელაძემ, 2007 წლის 7 ნოემბერს, დილის საათებიდან შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები „ელიავას ბაზრობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაანაწილა, სადაც მალევე აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კობა დავითაშვილი მხარდამჭერებთან ერთად ელექტროგენერატორის შესაძენად მივიდა, რომელიც აქციის ორგანიზებისთვის ესაჭიროებოდათ.

მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა კობა დავითაშვილი შენიშნეს, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სპეცრაზმის უფროსმა ედიშერ კობახიძემ ამის შესახებ დავით ქარსელაძეს აცნობა, რომელიც თავის მხრივ შემდგომი მითითების მისაღებად ზურაბ ადეიშვილს დაუკავშირდა, რომლისგანაც მიიღო დავალება, რომ კობა დავითაშვილი გადაეყვანათ საგამოძიებო სამსახურის შენობაში. ამ დავალების შესაბამისად, ედიშერ კობახიძემ თავის დაქვემდებარებაში მყოფ სპეცრაზმელებთან ერთად, ძალადობის გამოყენებით კობა დავითაშვილი იძულებით ჩასვა იქვე მდგარ თეთრი ფერის „ფორდის“ მარკის ავტომობილში, რის შემდეგაც გაერიდნენ ბაზრობის ტერიტორიას. ვინაიდან, კობა დავითაშვილს თავისუფლების აღკვეთისას, თავის არეში მიღებული ჰქონდა დაზიანებები და მოსდიოდა სისხლი, ედიშერ კობახიძე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა კვლავ დავით ქარსელაძეს, რომლის დავალებითაც, გატაცებული და ნაცემი კობა დავითაშვილი ნაცვლად საგამოძიებო სამსახურისა, გადაიყვანეს გორის ჰოსპიტალში, სადაც იგი მოთავსებული იყო მომდევნო დღის 08 საათამდე.

აღნიშნულ საქმეზე, თავისუფლების უკანონო აღკვეთის ორგანიზების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ზურაბ ადეიშვილი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით ქარსელაძე და ფინანსთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი უფროსი ედიშერ კობახიძე.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

* * *

მთავარი პროკურატურის სპიკერ-პროკურორი კოკა კაციტაძე აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ დავით ქარსელაძემ და ფინანსთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილმა უფროსმა ედიშერ კობახიძემ 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დროს კობა დავითაშვილის ცემისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეზე გამოძიებასთან ითანამშრომლეს და შესაბამისად, დაკავებული არ არიან. მისი თქმით, აღნიშნული პირები ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს ამხელენ.

ჟურნალისტი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

ჟურნალისტი რეზო ოქრუაშვილი გორში, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

გარდაცვლილის საცხოვრებელ სახლში სამართალდამცავები იმყოფებოდნენ.

გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა.

შემთხვევა ოთხშაბათს მოხდა.

რეზო ოქრუაშვილი წლების განმავლობაში იყო გაზეთ „თრიალეთის“ რედაქტორი, შემდეგ კი, „ხალხის გაზეთის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.

თარხან ბათირაშვილის დაღუპვა ოფიციალურად დაადასტურეს

ტერორისტულმა დაჯგუფებამ ისლამურმა სახელმწიფომ“ უმარ შიშანის, იგივე თარხან ბათირაშვილის გარდაცვალება დაადასტურა.

BBC-ს ინფორმაციით, დაჯგუფებასთან დაკავშირებულმა სააგენტო Amaq-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ შიშანი ერაყის ქალაქ შირკატთან შეტაკებისას მოკლეს.

თუმცა სააგენტოს არ დაუკონკრეტებია, როდის იყო მოკლული ბათირაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში პენტაგონმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ თარხან ბათირაშვილი მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა, რომელიც მან ამერიკელი სამხედროების მიერ განხორციელებული საჰაერო დარტყმის შედეგად მიიღო.

დაპატიმრებული არიან ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ნიკა მ., 1990 წელს

დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დავით ბ. და 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი პაატა უ., ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები აღიარებენ ე.წ. ქურდულ სამყაროს და ე.წ. ქურდულ სამყაროში დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად მოქმედებდნენ. მათ აქტიური კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთ პატიმრობაში მყოფ ერთ-ერთ ე.წ. კანონიერ ქურდთან და დანაშაულებრივი სამყაროს სხვა წევრებთან.

ბრალდებულები, მათთან ერთად, სისტემატურად გეგმავდნენ და მონაწილეობდნენ ქურდულ გარჩევებში.

ასევე დადგენილია, რომ ბრალდებულები ხვდებოდნენ ქართველ მეწარმეებს, თავს აცნობდნენ, როგორც ე.წ. მომავალი კანონიერი ქურდები, რის შემდეგაც, ქურდული გარჩევების გზით, სთხოვდნენ გარკვეული რაოდენობის თანხის გადახდას. თანხის მოთხოვნას, მათი მხრიდან, თან ახლდა მუქარა და ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების სწავლული მდივანი

გურამ ჯაფარიძე

პანაშვიდი 15, 16 VII, 16 სთ. დაკრძალვა 17 VII, 15 სთ. მისამართი: ჯანაშიას ქ. 13.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ ა.წ. 14 ივლისს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა

მარიამ მირიანის ასული ჭოხონელიძე

„კავშირი“ თანაუგრძნობს მეულლეს, ბატონ ევგენი (ვაჟა) მშვიდობაძეს, შვილს თამრიკო მშვიდობაძეს, დას ქალბატონ ლია ჭოხონელიძეს ოჯახით, ბატონ რევო მშვიდობაძეს (მამამთილს), ნათესავებს, ახლობლებს და მეგობრებს ოჯახებით.

სამოქალაქო პანაშვიდი 15, 16 VII, 18 სთ. გამოსვენება 17 VII, 14 სთ. ბინიდან. მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი (პლატო) IV მ/რ, კორპუსი 28, ბინა 10. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ბატონ რევო მშვიდობაძის რძლის

მარიამ ჭოხონელიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

1. იურისტი — 1 არასრული საშტატო ერთეული;

დამატებითი ინფორმაცია

1. სამუშაო აღწერა და თანამდებობრივი სარგო იხილეთ ინსტიტუტის ვებგვერდზე (www.mmi.ge)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

2. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. ავტობიოგრაფია /CV
5. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე — ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 და 12 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2016 წლის 10 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776; 2371448; 599388315.

მილოცვა

ქალბატონი ელენე (ლენა) კუჭუხიძე 90 წლისაა

ცხრა ათეული წლის შესრულებას აღნიშნავს 15 ივლისს ჩემი საყვარელი მეგობრების თემურ და თენგიზ კუჭუხიძეების დედა ელენე იროდიონის ასული.

სულითა და გულით ვუღოცავთ მას დაბადების დღეს, ღირსშესანიშნავ თარიღს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თავის შთამომავლობასთან ერთად.

სიყვარულითა და პატივისცემით
თენგიზ ქავთარაძე

— — — — — — — —

ვულოცავთ 90 წლის იუბილეს ქალბატონ ელენე ჭელიშვილს წარმატებული შვილების თემურ და თენგიზ კუჭუხიძეების დედას.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს ეხაროს თავისი დიდი ოჯახის ბედნიერებით.

თემურ და თენგიზ კუჭუხიძეების მეგობრები ზაურ ფხალაძე, ამირან ნიკოლეიშვილი, როლანდ გაბრიჩიძე ოჯახებით.

რეკლამა
293-13-34
599 797679
სულხან-საბას ქ. №3.

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“...

მცხეთის ისტორიული ძეგლები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაბრუნდა



იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მცხეთის ისტორიული ძეგლები საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხიდან ამოიღო და მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დააბრუნა. გადაწყვეტილება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მე-40 სესიაზე მიიღეს.

საქართველოს დელეგაციაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე და სააგენტოს თანამშრომლები შედიოდნენ.

კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დადებითად შეაფასეს ის კომპლექსური ძალისხმევა, რომელსაც სახელმწიფო მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიმართულებით ახორციელებს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ კომიტეტის წევრებს წარუდგინა ინფორმაცია მიღწეული პროგრესის შესახებ. კომიტეტის წევრებს ასევე საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ დეტალურ ანგარიშს მცხეთის ისტორიული ძეგლების დაცვის მიმართულებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა და რეგულარული კონსულტაციები მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მის მრჩეველ ორგანოებთან (ICOMOS, ICC ROM), რომლებიც გააგრძელებენ საქართველოში მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე და მათ შორის მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას.

განხორციელებული აქტივობები (2013-2016) და კულტურის სტრატეგია

- 2015 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, დამტკიცდა ქალაქ მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმი.
- მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული იუნესკო-საქართველო სამწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ექსპერტების აქტიური ჩართულობითა და ზედამხედველობით მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ მცხეთის ქალაქთმშენებლობითი რეგულირების დოკუმენტაციაზე.
- მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავდა და კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა მცხეთის ისტორიული ძეგლების ერთიანი დამცავი (ბუფერული) ზონა.
- 2016 წლის მარტში დასრულდა მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის პროექტზე, რომელიც მოიცავს კანონს მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ და კანონს არამატერიალური მემკვიდრეობის შესახებ;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და 2016 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა კულტურის სტრატეგია 2025.

მცხეთის ისტორიული ძეგლები იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წლიდანაა შესული, ხოლო სახელმწიფოს მიერ გადადგმული არათანამიმდევრული ქმედებებისა და საერთაშორისო ვალდებულებების უგულებელყოფის გამო 2009 წლიდან იგი საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში გადაიტანეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, სულხან-საბას ქ. №3

ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ ანეკდოტები

კახელი კუპეში ზედა თაროზეა წამოწოლილი. ქვემოდან ორი ქალის საუბარი ესმის.

— ეხლა ისე მიჭირს, კაცს 200 ლარად უარს არ ვეტყოდი.

— ეჰ, მე უფრო მიჭირს, 100 ლარზეც თანახმა ვიქნებოდი.

— არც 50 ლარია ცუდი ფული.

კახელმა ქალებს ჩასძახა:

— მე ეხლა უნდა წავუძინო და 5 ლარზე რო ჩახვალთ, გამაღვიძეთ.

* * *

— **ღვინოს** რომ ვსვამ, მეორე დღეს სახე მილურჯდება.

— ვიცი, ვიცი, ჩემ ცოლსაც მწარე ხელი აქვს.

ლადიკო სალუქვაძეს ქალიშვილი გაუთხოვდა გაპარვით. შეშფოთებული მამა პაპიროსს პაპიროსზე ქაჩავდა.

— რა მოგივიდა, ადამიანო? — ჰკითხა იულონ შარაშიძემ.

— გოგო გამეპარა, გაჰყვა ვიღაც ვიგინდარას.

— ბედნიერება მოგდგომია კარს, მაგიზა ნერვიულობ?

— პატარაა ჯერ, ძალიან პატარა, თექვსმეტი წლის.

— ქალიშვილი გამპარვოდა და ღმერთს მადლობას შევწირავდი.

— რამოდენაა შენი გოგო?

— ორმოცდარვა წლის...

— ჰოო, დაუდარაჯდი მაგას, ძილში არ გაიპაროს.

— **მამაჩემს** უთხარი, კარგად არიან-თქვა... დედაჩემი მომიკითხე, ძალიან გვენატრებითქვა... კირილეს გადაეცი, გოგუცას ბიჭი ეყოლა და ერთს შენი სახელი დაარქვეს-თქვა...

— მიცვალებულს თითზე ძაფი შეაბით, თვარა ამდენი შეიძლება ქე დაავიწყდეს...

* * *

— **გამარჯობა**, ვერიჩკა!

— გაგიმარჯოს, ვანიჩკა, როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები... წელს ზევით შენ გაფუჭებულხარ და წელს ქვევით — მე.

* * *

წარწერა მამაკაცთა ტუალეტში პისუარის წინ:

„იცოდე, შენი სამშობლოს მომავალი შენს ხელშია“.